პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!


# ლიტერატურული გაზეთი

1935 იანვრის 6 | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ექვსდღიური ორგანო | ფასი 50 კაპ. | № 1


## ახალ ადამიანს ახალი სიმღერები

იანვრის 6

ქართული „ლიტერატურული გაზეთი“ ათას ცხრაას ოცდათუთხმეტი წლის პირველ „საახალწლო“ ნომერს საბჭოთა ქვეყნის ახალი ადამიანის, უკეთ — ახალი ადამიანის ყოფა-ცხოვრების საკითხებს უძღვნის. და ეს შემთხვევითი არ არის! „ახლა მთავარია ადამიანი“ — თქვა ამ რამდენიმე დღის წინეთ ამხ. სტალინმა და ეს სიტყვები დედააზრია იმ პერიოდისა, რომელშიაც ჩვენ ვმუშაობთ.

უკლასო, კულტურული და ბედნიერი საზოგადოებისთვის დაილვარა რევოლუციისთვის მებრძოლთა ამდენი სისხლი და ამ საზოგადოების შექმნისას ყურადღების ცენტრშია ახალი ადამიანი, მისი კეთილდღეობა, მისი კულტურული ცხოვრება, მისი სულიერი გამდიდრება... ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანი, რომლისთვისაც პატიოსანი შრომა პირად სიამაყედ და გმირობად იქცა — ყოველ ნაბიჯზე გრძნობს გრანდიოზული სოციალისტური საზოგადოების რეალურად ხელშესახებ უპირატესობებს. და რამდენად უფრო თვალსაჩინოა ეს უპირატესობა, იმდენად უფრო თავგანწირვით წავა ეს ახალი ადამიანი ხვალ ჩვენი მოსისხლე მტრის მოსაგერიებლად, იმდენად უფრო დაეუფლება იგი ტექნიკას და კვალიფიკაციას ცხოვრების ყველა სფეროში და კერძოთ თავდაცვის დარგშიაც. დღეს ჩვენ ვიპყრობთ ინდუსტრიალურ, სასოფლო-სამეურნეო და სამხედრო პერეკოპებს არა შიშველი ხელებით, არამედ ტექნიკის უკანასკნელი მიღწევებით დაჯავშნული. მაგრამ ტექნიკას ვმართავთ ჩვენ: ადამიანებია ამ გმირული საქმეების შემოქმედნი და, ეს ადამიანი უნდა იდგეს ლიტერატურის ყურადღების ცენტრში.

ისე, როგორც სხვა სფეროებში, ლიტერატურაშიაც ტექნიკური რეკონსტრუქციის პროცესი ხშირად მექანისტურად გვესმოდა და თუ ამხ. სტალინი აღნიშნავს ცხოვრების სხვა სფეროში ადამიანის პრობლემის ამ გაუთვალისწინებლობას, სამწუხაროდ, იგივე უნდა ითქვას ლიტერატურაზედაც.

ახალი ადამიანის პრობლემის ლიტერატურული შემოქმედების ცენტრში დაყენება როდი ნიშნავს იმის დაკანონებას, რაიც ფილოსოფიის სფეროში სუბიექტურ იდეალიზმიდაა ცნობილი. ამ ფილოსოფიის თანახმად „კრიტიკულად მოაზროვნე“ ცალკე პიროვნებანი (ინდივიდები) განსაზღვრავენ ცხოვრების კანონებს. ისტორია რიკტაფელას თამაში არ არის, მას აქვს თავისი კანონები. ამ საზოგადოებრივ კანონების ძალაა არა მხოლოდ თავისი ფსიქოლოგიური სამყაროთი დაინტერესებული ინდივიდი, არამედ მოწინავე კლასი, ამ მოწინავე კლასის ავანგარდის ადამიანები. ამიტომ ჩვენი მწერლობის საგანია ახალი საზოგადოებრივი პროცესები, ახალი ადამიანების როლი ამ პროცესებში და ამავე მოვლენების ფეხდაფეხ მიმდინარე ადამიანთა შინაგანი ბუნების (ფსიქოლოგიის) ახლებურად გარდაქმნა. ამ გზით ჩვენი მხატვრული ოსტატი თვით ხდება ადამიანის ბუნების ერთერთ გარდამქმნელ ძალად.

ავიღოთ მაგალითისთვის ახალი ყოფა-ცხოვრება. ყოფა-ცხოვრება არ არის მარტო ოჯახი — მაგრამ ეს უკანასკნელი მისი ერთერთი უდიდესი მხარეა. ყოფა-ცხოვრების სფეროს ეკუთვნის ადამიანის მიერ პროფესიის არჩევიდან დაწყებული (იხ. ამ ნომერში მასალები მფრინავების კამანინისა და ხუბულავას შესახებ) გათავებული სიყვარულით.

განსაკუთრებით სიყვარულის თემას არ ულიმის ბედი. ამ ბოლო ხანებში ზოგიერთი შეცდომით ფიქრობს თითქოს პარტიას არ აინტერესებს ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების იდეური მხარე. ასეთები „ნეიტრალური“ თემების გაზაფხულს აცხადებენ, თითქოს ნეიტრალობა მართლაც შესაძლებელი იყოს. ამათ ნაწერებში ფიტულებად იქცევა ცოცხალი გრძნობების ადამიანები, დაუსრულებლივ ჭიკჭიკობენ ქაღალდის ბულბულები, კვნესიან კარტონის სალამურები, ყვავიან ბურბუშელიდგან გაკეთებული ვარდები, მელნის ტბად იღვრება ცრემლები. კლასობრივი მტერი კი ეფარება ამ „ნეიტრალურ“ თემებს — ასეთ „სასიყვარულო“ ან „ნეიტრალურ“ ლირიკას თავის ნიღაბად აქცევს. ამის მაგალითები ჩვენ გვქონდა ამ დღეებშიაც. ზოგიერთი პროლეტარული მწერალი კი თითქოს ეჯიბრება ამ საქმეში სხვა მწერლებს და წერენ ლექსებს, სადაც ვინ ვის, სად ან რისთვის უყვარს, — ვერაფერს გაიგებ.

მეორე მხრივ ადგილი აქვს საყოფაცხოვრებო თემებისადმი შიშს, ჯანსაღი ლირიკის მონაზონურ-ასკეტურ უარყოფას, ყოველგვარი ახალი გრძნობების გამოჩენისას მის სანტიმენტალიზმთან გაიგივებას. პირდაპირ, თამამად, გულახდილად, გულღიად, ყოველგვარი ფილისტერული პირმოთნეობის და ფარისევლობის გარეშე შეგვიძლია ახალ ადამიანებს თავისი ახალი გრძნობების შესახებ ველაპარაკოთ. დასამალავი აქ არაფერია. ყოველივე ის, რაც ჭეშმარიტად ახალია, არ შეიძლება გამოიყურებოდეს ობმოდებულ მეშჩანურ სანტიმენტალიზმად. ნუ შეშინდებით, თუ რომელიმე კბილებჩაცვენილი ლიტერატურული მონაზონი „ეროტიკოსად“ გამოგვაცხადებს. ოღონდ მართლაც იყოს ეს გრძნობები ახლებური, ოღონდ მართლაც ჩანდეს მათში მაღალი იდეების თანამედროვე მოწინავე ადამიანის შინაგანი წვა და არა ცხოველური ინსტიქტები. აი, მაგალითად, აიღეთ ჩვენი მოძმე ერის, უკრაინელი პროლეტარული მწერლის ლეონიდ პერვომაისკის დღეს ჩვენ გაზეთში მოთავსებული ლირიკული პროზის ნიმუში. რა გულწრფელობა, რა მძლავრი ლირიკული შადრევანი, რა გულუბრყვილო სიყვარული, რა ღელვაა აქ მოცემული. და ეს არ არის „საერთოდ“ ღელვა, „საერთოდ“ სიყვარული: ჩვენი ეპოქა არა მარტო უბრალო ფონია: აქ ახალია თვით გრძნობების შინაარსი, ახალია არსებითი მხარე. სიყვარული აქ, ისე როგორც კამანინის შემთხვევაში, რაღაც ახალ საზოგადოებრივ ძალად ხდება, სიყვარული აქ მუშაობს როგორც ბოლშევიკი-პროპაგანდისტი: სიყვარული ამ ადამიანის გულში, ამ პირობებში, ამ ჩვენი ქვეყნის ქალიშვილებისადმი — სტიმულია ახალ ღუმელზე უდიდესი ყინვისას მუშაობაში, ტრაქტორისტის მიერ მებრძოლი ტემპებით თავისი კვალიფიკაციის დაუფლებაში, ჭაბუკი მეოცნებეს მიერ ჰაერის რკინის ფრთოსანით დაუფლებაში, საზღვრებზე საგუშაგოების განმტკიცებაში, მეცნიერული მუშაკის კაბინეტში...

კომკავშირელთა ბელადი კოსარევი ფაშისტების შესახებ ლაპარაკობს, თუ როგორ ცდილობენ ისინი სიმღერებით შეამკონ და წააქეზონ რეინის პირად საზღვარზე მდგომი თავიანთი მონები. ჩვენ კი მართლაც ვართ ისტორიაში ჯერ არგანცდილი მართალი გრძნობების პატრონი, ჩვენ გვაქვს მართლაც უდიდესი იდეები, ჩვენ ყველაზე უფრო დიდი სიმღერები და წარმტაცი მოტივები შეგვიძლია მივცეთ ადამიანებს. გამარჯვებულ რევოლუციას აქვს სიმღერის შნო, მას უნდა მივსცეთ ეს სიმღერები.

პლატონ ქიქოძე



გამოსასვლელი დღე

ნახ. ა. მრევლიშვილისა

## ამას მოითხოვს ჩვენი ლოზუნგი

### ი. სტალინი

— ბევრმა, — ამბობს ამხ. სტალინი, — სწორად ვერ გაიგო პარტიის ლოზუნგი: „ტექნიკა რეკონსტრუქციის პერიოდში წყვეტს ყველაფერს“. ბევრმა ეს ლოზუნგი გაიგო მექანიკურად, ე. ი. იმგვარად, რომ თუ გარშემო ყველაფერი მანქანებით ავავსეთ — ამით სავსებით განხორციელებული იქნება ის, რასაც ეს ლოზუნგი მოითხოვს.

ეს არაა სწორი. შეუძლებელია მოვწყვიტოთ ტექნიკა იმ ადამიანებს, ვინც მისი მამოძრავებელი არიან. ტექნიკა უადამიანებოდ მკვდარია. ლოზუნგი: „ტექნიკა რეკონსტრუქციის პერიოდში წყვეტს ყველაფერს“ გულისხმობს არა შიშველ ტექნიკას, არამედ ტექნიკას იმ ადამიანების მეთაურობით, რომელნიც ტექნიკას დაეუფლენ. ამ ლოზუნგის მხოლოდ ასეთი გაგება იქნება სწორი. და რამდენადაც ჩვენ უკვე გავიგეთ ტექნიკის მნიშვნელობა, დროა პირდაპირ ვთქვათ, რომ ახლა მთავარია ადამიანები, რომელნიც დაეუფლენ ტექნიკას. აქედან ის გამომდინარეობს, რომ თუ წინად ცალმხრივად ყურადღებას ვამახვილებდით ტექნიკის, მანქანების მიმართ, ახლა ყურადღების მახვილი მიმართული უნდა იქნას ადამიანების მიმართ, რომელნიც ეუფლებიან ტექნიკას. ამას მოითხოვს ჩვენი ლოზუნგი ტექნიკის შესახებ. უნდა მოვუაროთ თითოეულ ნიჭიერ და გაგებულ მუშაკს, მოვუაროთ და გავზარდოთ იგი. დიდი მზრუნველობით და ყურადღებით აღვზარდოთ ადამიანები, ისე, როგორც მებაღე ზრდის და უვლის საყვარელ ხეხილს. აღვზარდოთ, დავეხმაროთ ზრდაში, მივცეთ პერსპექტივა, დროზე დავაწინაუროთ, დროზე გადავიყვანოთ სხვა სამუშაოზე, თუ კაცი თავს ვერართმევს საქმეს და ამასთან არ ვუცადოთ, სანამ იგი საბოლოოდ ჩავარდება. მზრუნველობით აღვზარდოთ და კვალიფიკაცია მივცეთ ადამიანებს, სწორად დავანაწილოთ და დავრაზმოთ ისინი წარმოებაში, ისე დავაყენოთ ხელფასის საქმე, რომ იგი ამტკიცებდეს წარმოების გადამწყვეტ რგოლებს და უმაღლეს კვალიფიკაციისაკენ ეწეოდეს ადამიანებს — აი, რა გვჭირდება ჩვენ იმისათვის, რომ შევქმნათ საწარმოო-ტექნიკური კადრების მრავალრიცხოვანი არმია.

## არც ბერი, არც დონჟუანი

„ახალგაზრდობისათვის განსაკუთრებით საჭიროა სიცოცხლის სიხარული და სიხალისე, ჯანსაღი სპორტი, გიმნასტიკა, ცურვა, ექსკურსიები, ყოველგვარი ფიზიკური ვარჯიშობა, სულიერ ინტერესთა მრავალფეროვანება, სწავლა, გარჩევა, კვლევაძიება — და ყველაფერი ეს შეძლებისდაგვარად ერთად. ეს უფრო მეტს მისცემს ახალგაზრდობას, ვიდრე მომაბეზრებელი მოხსენებები და დისკუსიები სქესისა და ცხოვრების ე. წ. გამოყენების საკითხებზე. ჯანსაღ სხეულში — ჯანსაღი სული. არც ბერი, არც დონჟუანი, მაგრამ არც გერმანელი ფილისტერი, როგორც ამ ორთა შორის საშუალო“.

ვ. ლენინი

## ახლა მთავარია ადამიანები

ი. სტალინი

# დიდი ყურადღებით და მზრუნველობით აღვზარდოთ ადამიანები

**ი. სტალინი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნორჩი ფრთოსანი

**გ. გიგოლაშვილი**

„— ძალიან მიჭირს, რომ პატარა ვარ, თუ ფეხებით პედალებს მივწვდები—გარეთ ველარ ვიყურები, მიწას ვერ ვხედავ"...

„— არაფერია!" —ვამშვიდებთ ჩვენ; ჯერ მხოლოდ 18 წლისა ხარ, ჯერ კიდევ გაიზრდები. ნინა წითლდება და თავჩაკიდული იცინის.

ის მოგვითხრობს, რომ პირველ ხანებში ძალიან ნერვიულობდა. მართლაც განა ადვილი საქმეა ფრენა და განსაკუთრებით დაშვება, როდესაც დედამიწას კარგად ვერც კი ხედავ? მაგრამ ახლა მას ნერვიულობისა და შიშის არაფერი ეტყობა. გაქანებული თვითმფრინავით ძირს ეშვება და ოსტატურად „ჯდება სამ წერტილზე".

თითქოს ჰაერი მისი მშობელი სტიქია იყოს...

„— ბევრი რამ მიშლიდა ხელს. მცირეწლოვანი ვიყავი და ყველგან უარს მეუბნებოდენ",— გვიყვება ნინა, „ბოლოს კომკავშირის ორგანიზაციამ ბატაისკის საავიაციო სკოლაში გამაგზავნა. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, დიდი ხნის ნატვრა რომ ამისრულდა. შემდეგ ძმის სიკვდილი, ტფილისში დაბრუნება...

„— მაგრამ აქ კიდევ ერთი უბედურება დამემართა,—განაგრძობს ნინა და მის თვალებში მხიარული ნაპერწკლები ენთება, ნათესავები რომლებთანაც მე ვცხოვრობდი—გამიჯავრდენ: თუ ფრენას თავს არ დაანებებ შინ აღარ შემოგიშვებო. საერთოდ რაც ნაცნობები და ნათესავები მყავს—ყველა სამუდამოდ დაღუპულად მთვლიდენ"...

„— მე უკვე თოთხმეტი დამოუკიდებელი გაფრენა მაქვს და ახლა ფიგურულ ფრენას ვსწავლობ".

ფიგურული ფრენა!.. მერე რა წყნარად ამბობს ამას! და იცით რას ნიშნავს ეს?.. მაყურებელს სისხლი ეყინება, როდესაც თავდაყირა გადმოპირქვავებული თვითმფრინავი წამს დაეშვება და აი, ეს არის დედამიწას დაენარცხება... მაგრამ უცებ კუდს მოგიშვერს და კვლავ ზევით ასრიალდება.

აი ამას სწავლობს ახლა კომკავშირელი გოგონა. პირველი ქართველი ქალი მფრინავი ნინა ხუბულავა.



უნდა ავხსნათ „სოციალისტური სამშობლოს სიყვარულის" ცნების მთელი გიგანტური მნიშვნელობა. უნდა ცხადვყოთ, რომ ჩვენი ქვეყნის თითოეული ახალგაზრდა ცხოვრობს იმისათვის, რომ ჩვენი სოციალისტური სამშობლო შეამკოს ახალი დიდებით, ახალი საგმირო საქმეებით. ჩვენ ვცხოვრობთ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს დიდებისა და წარმატებისათვის. ამიტომ ჩვენ ვამაყობთ ჩვენი ახალგაზრდა გმირებით, ისე როგორც ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ სხვა საუკეთესო ადამიანებით.

ა. კოსარევი

## რამ განსაზღვრა ჩემი წინსვლა

საბჭოთა კავშირის გმირი ფრინავი

**ნ. კამანინი**

თავის შესახებ

„მაინც რამ განსაზღვრა ჩემი წინსვლა? ყოველი ადამიანის ცხოვრებაში მოიპოება ასეთი ეპიზოდები. ისინი სწყვეტენ ყველაფერს—აქ თავს იყრის საკვანძო, გადამწყვეტი მომენტები. რა მიზეზი იავდა სწავლისაკენ იქ. მშობელ მელენკას სკოლაში? არ გავიკვირდეთ ტიპიურ ფაქტის უბრალოება: მე მიყვარდა ერთი გოგონა. იგი ჩემზე მაღლა იდგა განვითარებით და ტრიალებდა ისეთ წრეში, რომელიც აგრეთვე ჩემზე კულტურულად მეჩვენებოდა. და აი, სიყვარულმა ამამაღლა, მიმიყვანა წიგნებთან, ჩამაბა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ამასთან დაბადა ჩემში შეჯიბრების მსგავსი ახალი და დიდი გრძნობა.

მე არ მრცხვენია მელენკელ გოგონასადმი ჩემი ჩვეულებრივი გრძნობისა, რომელმაც გამომაცოცხლა და ახალი სული შთამბერა.

აი, მეორე ეპიზოდიც. 1930 წლის მანევრებზე მე მოწმე გავხდი იმისა, როდესაც შტურმან კონდრაშოვმა ერთი მეორეზე ორი ყუმბარა აუცდენლად ჩასვა თავის ალაგას.

საკვირველი სურათი იყო, მშვენიერი! მე აღტაცებაში მომიყვანა მისმა ოსტატობამ, რომელიც თითქო შემთხვევითი იყო. მე მაშინვე დავიფიცე მიმეღწია სრული ასეთი ხარისხისთვის. ამან კი უკვე შეგნებული შეჯიბრების გრძნობა დაბადა ჩემში. ეს შემთხვევა წაუშლელად თვალწინ მიდგას და ანათებს შემდგომ ჩემ გზებს"...

## დღისწესრიგის საკითხები *)

**შალვა შავგულიძე**

ანტიური დრამის ცენტრში იდგა გმირები და ღმერთი. ფეოდალური დრამის წარმოშობამ ახალი სახელები მოიტანა, ეს იყო მეფე და რაინდები. ბურჟუაზიულმა დრამამ სულ სხვა პერსონაჟები აიყვანა სცენაზე—ვაჭრები, მოხერხებული მედუქნეები და ანგარიშიანი ადვოკატები. მიუხედავად ასეთ შეუწყვეტელ ცვლილებათა, მოქმედების ცენტრი საუკუნეების განმავლობაში უცვლელი რჩებოდა. ოჯახი იყო მხატვრული შთაგონების წყარო და ძირითადი სამეურნეო უჯრედი. მარქსის სიტყვებით, ოჯახი მინიატურულ ფორმაში, მთელი საზოგადოების წინააღმდეგობებს გამოხატავდა. ამიტომ დრამატიული ხელოვნებისათვის სიძნელეს არ წარმოადგენდა—წამოეჭრა ეპოქის მღელვარე პრობლემები საზოგადოების ამ „ძირითადი მოლეკულარული უჯრედის" ფონზე, ეჩვენებია განსაზღვრული ფსიქო-იდეოლოგიური მისწრაფებები ამ დეკორაციის შიგნით. „მოვლენები წარმოიშობიან თავისიანებს შორის"— ამბობდა არისტოტელე. ეს კლასიკური ფორმულა საუკუნეების განმავლობაში განსაზღვრავდა დრამის განვითარების მაგისტრალურ გზას. მაგრამ „თავისიანები" მეტად ვიწროდ იყო გაგებული. ძმა კლავს ძმას, ან განიზრახავს მკვლელობას, ცოლი ღალატობს ქმარს, პირველი, გერმანული რომანის მიხედვით, იძენს „საყვარელ არსებას", მეორე, ფრანგულ რომანში— რქებს... ყველაფერი ამაზე იყო დამოკიდებული. ბურჟუაზიული დრამის აურაცხელ ვარიანტებში ყველა ძაფი გამოდის ამ პრინციპიდან. პარტერში ილვრებოდა ცრემლები, რომლებიც ყოველთვის როდი იყო ნიანგის, რადგან განიცდიდენ ორგანულად. სცენაზე გათამაშებული ტრაგედია აღელვებდა მათ სულს, რადგან მოქმედი პირი იყო ან თვითონ ის, ან მისი მტერი.

მაგრამ ასეთი დრამის საფუძველი ქრება კერძო საკუთრების წარმომშობი წყაროების გაქრობასთან ერთად. ჩვენ განვიცდით დიდი ეპოქის ქართა ქროლვას, რაც წინა თაობებს არ შეეძლოთ განეცადათ. თვალწინ ქრება ძველი ოჯახი ძველებურად გაგებული, როგორც—„სამეურნეო უჯრედი". მართალია ამ კომერციული დაწესებულების შხამიანი ტრადიციები ჯერ კიდევ წამლავს ატმოსფერას, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჩვენ მას ვებრძვით, როგორც კაპიტალიზმის უკანასკნელი ნაშთების გამოხატულებას საზოგადოებრივ შეგნებაში. ამ ნარჩენების მავნებლობის გამოვლენაა, მაგალითად, მესაკუთრული გრძნობები. ბურჟუაზიული დრამის პათოსი იყო იზოლირებული, სხვის წინააღმდეგ მიმართული, „საკუთარი ბუნაგის" მოწყობის პათოსი. ჩვენ სხვა პერსპექტივები და სხვა პოლუსები გვაქვს. მაშ რა წაიყვანს სოციალისტურ დრამას? რა მიცემს მას იდეურ სტიმულს? ამ კითხვასთან იჩინა თავი ცდუნებამ. ზოგიერთი აიღებს მზამზარეულ ისტორიულ თარგებს, საშუალო საუკუნეების ალტყინებული ბერის მაგიერ მტვერიან ჩარჩოში ჩასვამს კომკავშირელს, მკერდზე ფიზკულტურის ნიშნით—და სურათი მზადაა...

სოციალისტური დოვლათის თანდათანობითი შეუჩერებელი ზრდა ადამიანს აცილებს ყოველდღიურ ბეჩავ ფიქრს ლუკმა პურზე და იწვევს ძველი „ოჯახის" ეკონომიური ფუნქციების ბუნებრივ ლიკვიდაციას. ეს ხომ მომავლის თემაა, იტყვის ზოგიერთი. მაგრამ მოდი ვაჩვენოთ ეს გარდატეხის პროცესები, ვთქვათ, როგორ ვამზადებთ ამ ახალ ოჯახს, „მომავლის თემებს". განა ეს ცოტა იქნება?

ის საზოგადოებრივი რეჟიმი, რომლისთვისაც ძველი ოჯახური დრამის თარგები იჭრებოდა, ჩვენ პირქვე დავამხვეთ. ბურჟუაზიული სამყაროს წმიდათაწმიდა არის „ჩემი", ჩვენი წმიდათაწმიდაა სოციალისტური საკუთრება, ჩვენი სოციალისტური სამშობლო, ჩვენი ჩელიაბინსკი, ჩვენი კოლმეურნეობის პურის თავთავი სადმე კაზაკისტანის ველებზე. ამ თვალსაზრისით „ოჯახის" ცნება რევოლუციამ აიყვანა უმაღლეს მწვერვალზე. თუ ოჯახი ახლებურად გაგებული ქალისა და ვაჟის საზოგადოებრივ-მორალური ფუნქციაა, მაშინ იგი ყველაზე სრული სახით უნდა აყვავდეს ჩვენთან. ეს არაა მესაკუთრული ბუნაგის მოწყობის პათოსი. სოციალიზმის ქვეყანაში ადამიანები უფრო მაღალი მიზნებითაა გატაცებული. ესაა ჩვენი სამშობლოსათვის გამიზნული სიცოცხლე. ახალი სოციალისტური დამოკიდებულება შრომისადმი, კომკავშირული შაბათობა, კაზხალზე გათენებული ღამეები, ერთმანეთის ღრმა გაგება და პატივისცემა, ესაა ჩვენი სიმღერის თემა. ამას რევოლუციურ ენთუზიაზმს ეძახიან.

რამ უნდა გაიტაცოს სოციალისტური დრამის გმირი? ზოგიერთი ბელეტრისტი შეგნებულად გაურბის ამ კითხვაზე პასუხის გაცემას, კუდში მისდევს „მარადიულ თემებს" და ვერ ამჩნევს როგორ შეუმჩნევლად გადაიქცა ჩვენ დროში კლასიკური ტრაგედიის თემა იაფფასიან ვოდევილად, ფარსად.

ყველა ეპოქას აქვს თავისი მაგისტრალური თემები საზოგადოებრივი პრობლემების მთავარი რგოლები. ჩვენი მღელვარე, ეპოქის ერთ-ერთ მთავარ გაბატონებულ თემას უდავოდ წარმოადგენს ინდივიდუალიზმის დაჯახება კოლექტივიზმთან. ეს დაჯახება მძაფრია და გადამწყვეტი: აქ თავის სიტყვას იტყვის მხატვრული შემოქმედების ყველა ყალიბის იარაღი, ტრაგედია, ლირიკა, კომედია, დრამა. ეს მეტად მდიდარი მასალაა, იგი მოითხოვს გმირული იდეალიზაციის მეთოდის გამოყენებას, ახალ საღებავებს. და როცა ამ თემებს ჰვრეტენ მელოდრამატიულ ასპექტში, ცხოვრების მაჯისცემა და მიწისქვეშა წყაროების ჩუხჩუხი შეუმჩნეველი რჩება. დადებითი და უარყოფითი ტიპების ტრაფარეტად ქცეული სახე (თუ კომუნისტია, მას ყველაფერი თავის რიგზე აქვს, სამსახურის ადგილზე მიდის დანიშნულ დროს, ხოლო თუ კლასობრივი მტერია... ო, ამის შესახებ ჰკითხეთ თქვენ სქელტანიან წიგნებს!) უნდა განიდევნოს ლიტერატურიდან. პროვინციალური სცენაც ბოლოს და ბოლოს უარს აცხადებს შაბლონური ნილაბებით და „იარლიკებით" გვიჩვენოს გმირის ხასიათი.

აი, მაგალითად, კონსტანტინე ლორთქიფანიძეს „ძირს სიმინდის რესპუბლიკაში" ძალიან ბევრი აქვს საშუალო მელოდრამატიული სურათები. ამ ნაწარმოებში უფრო ემპირიული მასალის „წესრიგში მოყვანაა", ვიდრე პროცესების გათვალისწინება და პერსპექტივები. ახალი რომანი კი სწორედ ამ პრინციპზე უნდა აშენდეს. ეს გადაარჩენს მას გადამღერებას.

რა აწუხებს ლორთქიფანიძის ახალგაზრდობას? წევს მექი ბოსელში და ფიქრობს, ფიქრობს, ფიქრობს... თქვენ გგონიათ რაიმე სერიოზულზე? არა, ის ფიქრობს იმაზე, თუ როდის შეაგროვებს იმდენ ფულს, რომ საკუთარ ბუხრიდან ამოვიდეს ცეცხლის ბოლი, ფიქრობს როდის ექნება მას „ჩემი ქოხი", „ჩემი ნაკელი". საიდანაა, რომ ამ კაცმა რამდენიმე სტრიქონის შემდეგ ერთბაშად ამოყო თავი კოლმეურნეობაში, ამის არსებითი მოტივები გაუგებარია, თუ გავითვალისწინებთ, რომ რომანში დახატული უცნაურ ადამიანებიდან ყველაზე უფრო გამბედავი, „რომანტიული" და სიმპატიური ფიგურა არის სწორედ ეს მექი, მაშინ სურათი სრული იქნება. მათი უმაღლესი ოცნება? ქუთაისის ნახვა. მოქმედების არე? ჩირგვები. ყოველდღიური გატაცება? ყოფაცხოვრებითი დეგენერაცია, ონანიზმი. საუბრის საგანი?" პავლიკოს არლანი. ცხოვრების ინტერესი? კვერცხის ფასის გაგება ბაზარზე. მოკლეა ეს ანკეტა, მაგრამ აქედანაც კარგად ჩანს ყველაფერი. ეს ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ რომანს არა აქვს უნარი დაიძახოს საყვირის ხმაზე. მას არ შეუძლია გადაისროლოს ახალგაზრდობაში მოწოდების ლოზუნგი—„წინ", აჩვენოს გზები.

ჩვენს ლიტერატურაში საკმაოდაა დამკვიდრებული ადამიანების შიშველი პორტრეტები, დაუმთავრებელი სურათები, მაგრამ ეს, ცხადია, ვერ ქმნის ეპოქალური ხელოვნების ამინდს. ამისთვის საჭიროა ახალი ადამიანის სისხლით და ხორცით სავსე ტიპები. კლასიკოსებს კარგად ესმოდათ ყოფაცხოვრების მნიშვნელობა და ამაშია მათი სიძლიერე. ანდრეი ბოლკონსკი იქნებოდა არა სრული ტიპი, არამედ მოხეტიალე მათემატიკური ნაწევარი, რომ

*) შემოქმედებითი დისკუსიის წესით.

# თერთმეტი— თერთმეტის წინააღმდეგ

ფრანგულ ბურჟუაზიულმა გაზეთმა „მარიანამ“ მოაწყო თერთმეტი ბავშის ანკეტა სხვადასხვა კითხვებზე. კითხვები შეეხებოდა ღმერთს, ერთა ლიგას, საუკეთესო მოგონებას, სასურველ პროფესიას, სპორტს, ოჯახს, ქორწინებას...

„კომსომოლსკაია პრავდამ“ წარმატებით გამოიყენა ეს ინიციატივა. მან თითოეულ ფრანგ ბავშს დაუპირისპირა შესატყვისი სოციალური მდგომარეობის საბჭოთა ბავში.

ამ დაპირისპირების სურათს კომენტარიები აღარ ესაჭიროება. ამ ანკეტაში, როგორც სარკეში, ნათლად მოჩანს ორი სამყაროს სახე.

ერთ მხარეზე კაპიტალიზმის მგლური კანონებით გაფუჭებული ბავშები, ოცნება კარიერაზე, უკულტურობა, ცინიკური დამოკიდებულება ცხოვრებისადმი, გონებრივი სივიწროვე. მეორე მხრივ ჯანსაღი თაობა, სიცოცხლით და სიხარულით აღსავსე ბავშები, ხვალინდელი დღის რწმენა მათ იციან რისთვისაც იბრძვიან, რისთვისაც ცხოვრობენ, სწავლობენ, იზრდებიან. ისინი არიან სოციალიზმის მშენებელი ადამიანების გოგონები და ბიჭები. და საბჭოების დიდი ქვეყნის სიხარული ამ მშრალი სტატისტიკური ციფრების სვეტებიდან მოედინება, როგორც გმირული სიმფონიის ძახილი.

— „რას იტყვით ღმერთზე?“

ამ კითხვაზე ფრანგი ბავში უპასუხებს:

— „ეს გრძელ წვერებიანი მოხუცია“. საბჭოთა ბიჭი კი პირდაპირ თავდასხმაზე გადადის: „ძველ ადამიანებს წამდათ. მათ მეტი არაფერი დარჩენოდათ, მე კი ამაში საინტერესო ვერაფერს ვხედავ“...

„მარიანას“ ანკეტის ბავშები უმთავრესად ყველა ბურჟუაზიული წარმოშობის არიან და ამრიგად კარგად გამოხატავენ საფრანგეთის გაბატონებული „მაღალი წრეების“ საზუალო დონეს.

და როგორია შედეგები?

რა მჭლე, უპერსპექტივო და მკვდარია ამ ბურჟუაზიული მაღალი წრის თაობის პასუხები!

მაგრამ სულ სხვაა საბჭოების ქვეყნის ბედნიერი ბავშების აზრები და შეხედულებები, იდეალები და გატაცებანი.

აქ ჩანს რწმენა, უტეხი ნებისყოფა, დაჯერების ძალა.

—„თქვენი საუკეთესო მოგონება?“—აყენებს კითხვას ანკეტა.

—„ჩემი დედოფალა!“—თავშეუკავებლად ამბობს ფრანგი ბუხჰალტერის შვილი.

—„ჩელუსკინელების ჩამოსვლა მოსკოვში“, იძახის საბჭოთა ექიმის შვილი და თან იქვე ბავშური გულუბრყვილობით უმატებს: „იმიტომ, რომ იქ ბევრი წითელი დროშები და ყვავილები იყო, კარგი მუსიკა“...

ეს ორი პოლუსია.

თერთმეტ-თერთმეტი „ფალავანი“ დაეჯახა ერთმანეთს. ერთი მხარე „დედოფალასკენაა“... მათი იდეალია ისეთი ცოლის შერთვა, რომელიც „კარგად დაამზადებს სუპს“. ამ პასუხებში სწორად აისახა ბურჟუაზიული ბავშების ინტერესის უქონლობა საზოგადოებრივ საკითხებისადმი, გონებრივი სივიწროვე, უკულტურობა, სრული იდეური სილატაკე.

„ჩელუსკინელები“!—აღტაცებული იძახიან ამ დროს ჩვენი ნორჩი ფალავნები. გამარჯვება მათ მხარეზეა. ეს ის ძალაა, რომელიც დედამიწას გადააბრუნებს.

თერთმეტი—თერთმეტის წინააღმდეგ, დაჩანაკებული და გამოფიტული სამყარო— ახალგაზრდა სოციალიზმის წინააღმდეგ!

ეს ქარი ქრის ამ საინტერესო ანკეტის ციფრებიან სვეტებიდან.

## გაუღე კარი

დავით გაჩეჩილაძე

ნუთუ გათავდა ყველა სათქმელი,
აღარ მიგზავნი სალამს, ბარათებს,
ჩამოზვავებულ ნისლებს გავცქერი.
ახლა ღამეა... შენ მიღალატე...
აღარ ამოდის მზეც დასანთქმელი.
შენზე წუხილით ღამეს გავათევ.
შენი ოთახის ერთი სარკმელი
ალიონივით სადღაც ანათებს.
და მაინც ვიცი ეგ გული მკაცრი
ჩემთან წამოსვლას, გოგონავ, გერჩის.
ვიცი ლოდინით დაქანცულს, დაცლილს
ბევრჯერ გილვრია ცრემლების თქეში.
სარკმელთან ზიხარ—სარკმელის გასწვრივ
აბურუსებულ ზამთარის ბნელში
იქ... მოწყენილი დგას ერთი ნაძვი,
როგორც ცისფერი ზაფხულის ელჩი.
იცი, გოგონავ, ის ნაძვი მე ვარ,
აქ შენს ეზოში მოსული მარტო.
თუმც განვიცადე სუსხი და რბევა,
მე ფესვებიდან სხვა ცეცხლი მათბობს.
ციდან მომესმის რიჟრაჟის ძღერა,
თეთრ მწვერვალებზე გავხედავ მნათობს,
და ძირს მოვხაზავ ჩრდილს ღრუბლის ფერად
შენზე ოცნება რომ გამოვხატო.
ო, დააკვირდი ნაძვის ხეს დარში,
შტოზე ხიცილიც შეატყო იქნებ...
როცა შენ დილით დალალებს გაშლი
დაზხელში წიგნით ჩაუვლი იქვე,
ცის ერთი მხარე იქნება -ვარჩის,
მდინარის ახლო ტყეც იჭრიკებს,
რა ვქნა, ამ ქვეყნის თუ გულისთქმაზე
ზღვა სიყვარულის სიმღერად ვიქნე.
ჩემი სიცოცხლე ისე წრფელია,
როგორც ნაწვიმარს მზით გაბრწყინება.
არ შეგადარებ შენ ოფელიას,
ვერ გაგატანო ტალღის დინებას...
გული დიდია—მიწა ვრცელია,
ზედ ოქროს ნისლი რომ ეფინება,
მაგრამ ხანდახან ალბათ გსმენია
ხესთან ნიავის აქვითინება.
ო, ესეც მე ვარ! და თუ არ გცივა
ნახე, რას გეტყვი ნიავის ჩქერი.
შენ გამოსულხარ ბავშობის წრიდან,
გაცვია კაბა თუმც შინდისფერი,
შუქივით გამყვეს წკრიალი წმინდა,
როს სიყვარულის სიმღერას მღერი,
შორს ჩემი თვალი ცისკარად ბრწყინავს,
ლაჟვარდებიდან რომ ჩამოგცქერი.
გაუღე კარი მზეს და ვარსკვლავებს,
ნაძვსა და ნიავს რიჟრაჟის მხრიდან.
ჩვენ სიყვარული არ გვასაფლავებს,
ჩვენ გაზაფხულის სიცოცხლე გვიდგას.
დე, ამოითქვას ყველა სათქმელი,
რათ არ მიგზავნი კოცნას, ბარათებს.
ახლა ღამეა... შენი სარკმელი
ალიონივით სადღაც ანათებს.



ქისტი ხევსურისას

ნახ. შ. მაყაშვილისა

## ა, იმ მთასა

(„ხალხური საუნჯეს მასალებიდან“)

მშობლების მიერ ძალად გათხოვილი
თუში ქალის მიერ ნათქვამი ლექსი.

იმ მთასა, არშიხასა
ზედამ წვერზე გადამკიდა,
ჭრელი გველი ხელში მომცა,
შავიმც ყელზე ჩამომკიდა.

ზედამც წვიმდეს,
ზედამც თოვდეს,
ზედ ნამქერსაც მომაყრიდა,
ამას ყველას გავუძლებდი
უნდობელს—კი ნუ შემყრიდა.

---

მას ტოლსტოი მარტო ომის ქარცეცხლში, აუსტერლიცის ველზე დაჭრილს გვიჩვენებდეს. ტიპის შექმნამ მოითხოვა მეოცნებე თავადის შინაგანი სამყაროს გახსნა, სალონების ყოველდღიური ფუსფუსის გადმოცემა, ფსიქოლოგიური ნიუანსები, რომანიული სცენები. უფითი მხარეების მოცემაშია ტიპის დახატვის ერთ-ერთი გარანტია.

ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივი“ იძლევა მთელი მონოგრაფიის ნედლ მასალას მე-19 საუკუნის ქართველი ინტელიგენციის ყოფაცხოვრების შესასწავლად. ხოლო, როგორ იქცევიან ზოგიერთი მწერლები დღეს? აიღებენ მუშას, შეუქმნიან სახელოვან ბიოგრაფიას, მიცემენ ხელში ჩაქუჩს, მერე ეს კაცი გამოყავთ მიტინგებზე...

ბელეტრისტული ფოტონაბეჭდების მეთოდი, თუნდაც ეს ფრიად პროლეტარული ტიპის ანაბეჭდი იყოს, დიდი ხანია უარსაყოფელია. მწერალმა უნდა იცოდეს ცხოვრების ძირები, უნდა იცოდეს იმ ადგილების მიგნება, სადაც ხვალ მუხის ყლორტები ასწევს თავს, მას უნდა შეეძლოს ცხოვრების ნამდვილი ტენდენციების ახსნა. პერსპექტივის უქონლობა, ფაქტების ზედაპირზე ცოცვა და, რაც უმთავრესია, ყოფაცხოვრების მახინჯი მხარეების აღწერით დაკმაყოფილება, თავისთავზე ლაპარაკი—ასეთია ზოგიერთი ტიპიური ნაკლი იმ ნაწარმოებთა, რომლებიც ყოფაცხოვრებას ეხებიან.

ბიოგრაფიული მომენტების სიჭარბე ყოველთვის სიყმაწვილის და მოუმწიფებლობის დამახასიათებელი ნიშანი იყო ლიტერატურაში და ვერც ახლა შექმნის ის ეპოქის შესაფერ ხელოვნებას. საკუთარი ბიოგრაფიის გადმოცემა ყოველთვის არაა განდიდების მანიით წარმოშობილი. ასეთ შემთხვევაშიც ის არა ნაკლებ საშიშია. როცა კარლო კალაძის „სახლი მტკვრის პირას“ უცქერით, აქედან უფრო მეტს გაიგებთ ავტორის პირად განცდებზე, ვიდრე თვითონ კომკავშირზე. ამიტომ არ ჩანს ნამდვილი გმირი.

პანტელეიმონ ჩხიკვაძის „რომანტიული ამბავი“ ყოფაცხოვრების მწვავე ჭრილობას ეხება, მაგრამ დადებითად ვერ წყვეტს ყველა თავსამტვრევ საკითხებს. მდგომარეობას ხრულიად არ ამსუბუქებს ის, რომ ეს საკითხები ჯერჯერობით თვით ცხოვრებაში არ არის გადაწყვეტილი. პირიქით, ეს უფრო ზრდის მხატვრის მოვალეობას, გადაიხედოს ჰორიზონტის იქეთა მხარეს, შექმნას ისეთი სურათები, რომელიც აამაღლებს გრძნობებს, ბადებს პერსპექტივის სიცხადეს. ცოლი წარმოდგენილია საწოლი ოთახის დამატებად. არავინ უარყოფს, რომ ასეთი ფაქტები არ გვაქვს, მაგრამ საჭიროა ამ მასალის ისეთი დალაგება, რომ ის მთუწოდების ზარს რეკდეს. ამაშია სისუსტე.

ჩვენი ცხოვრება იმიტომაა მდიდარი და მრავალფეროვანი, რომ აქ ადგილი აქვს არა მარტო გაზაფხულის მელოდიებს, არამედ ლირიკას, კომედიას და ტრაგედიულ სიტუაციებს. როგორ იქცევა მაყვალა, როცა ასეთ სიტუაციების წრეში მოექცა მისი თანამებრძოლი? ამ კითხვაზე მოთხრობა დუმს. ისმის მხოლოდ რევოლვერის გასროლა და მაყვალას სანტიმენტალური წამოძახილები. სწორედ ასეთ მძიმე მომენტებშია საჭირო თანამებრძოლი ქალის სიტყვა. მაგრამ მაყვალა სულ სხვაა. „ეს არის შენი ვაჟკაცობა! სად მიმატოვე, სად“—ეკითხება ის ხანდაველის ჩამქრალ თვალებს და ამ უკანასკნელ სიტყვებშიც კი, თანაგრძნობის მოტივი მხოლოდ ისაა, რომ მან, ცოლმა და ქილაჯომ—„პატრონი“ დაკარგა. ჩვენ შორს ვართ იმ აზრიდან, რომ მოვითხოვოთ სასწაულები, ეს უდიდესი ცალმხრივობა და ობივატელური კმაყოფილება იქნებოდა. მაგრამ ჩვენ მოვითხოვთ იმ დროშების გაშლას რომანის ან მოთხრობის გმირი ქალიდან, რომელსაც აღტაცებული გაყვება ჯანსაღი გრძნობების თაობა. ეს არ არის ცხოვრების მისტიფიკაცია. ამას ეწოდება პედანტური წვრილმანების რკალის გარღვევა. ამას მოითხოვს რევოლუციური პერსპექტივით აღჭურვილი რეალიზმი.

სერგო კლდიაშვილის შემოქმედების არსებითი ნაწილი პატარა ადამიანის ყოფაცხოვრების გამომხატველია. პროვინციის დანგრეული ბუდეების სურათებიდან ყოველთვის ჩქეფს მსუბუქი ჰიუმორი და ჯანსაღი ხალისიანი სიცილი გუდამშიერ აზნაურებზე და სანტიმენტალურ აფთიაქარებზე. მაგრამ კლდიაშვილის სატირული ბელეტრისტიკა უფრო ისტორიული მასალაა, ვიდრე თანამედროვე ბრძოლის იარაღი. კლდიაშვილი აღნიშნავს იქ, სადაც ახსნაა საჭირო, აღწერს და მოგვითხრობს იქ, სადაც ცხოვრების ინტერესი მოითხოვს მსჯავრის გამოტანას. საერთოდ კი, ასეთი მოვლენების მიმართ მეტი გესლია საჭირო! სატირა ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია, თუ არა მრისხანე საბრალმდებლო დარტყმები მიზანში ამოღებულ მოვლენებზე.

ჩვენ გვესაჭიროება მაღალი სულის, პრინციპიალური, მტკიცე ნებისყოფის და თავგანწირვის ადამიანები. არასდროს ლირიკას და ეპოსს ამაზე უფრო საპატიო და სასიცოცხლო ამოცანა არ ჰქონდა დაკისრებული. ჩვენ კი ჯერ ერთი კომკავშირული სიზმარიც არა გვაქვს მოთხრობილი ხეირიანად. ყოველ შემთხვევაში წინსვლის ნიშნები არსებობს. ფრიდონ ნაროუშვილი კლასობრივი მტრის მიმართ სიძულვილის გრძნობისკენ ამახვილებს ყურადღებას. მისი პოეზია ამ გრძნობის აპოლოგიაა, ეს სიძულვილი ისე, როგორც სამშობლოსადმი სიყვარული, ჭაერზე უფრო საჭიროა ახლა ახალგაზრდობის აღსაზრდელად. მაგრამ უნდა მივხედოთ ინტიმურ მომენტებსაც. ეს დღის წესრიგის უკანასკნელი საკითხი როდია. წარსულის გაკვეთილები გვასწავლის, რომ ამ საკითხების უგულებელყოფამ, მის გადაჭრაზე უარის თქმამ „ესენინის ქვრივთა“ წრეებამდე მიიყვანა ახალგაზრდობის მერყევი ფენები.

მართლაც რით პასუხობს მწერლობა ახალგაზრდობის „წყეულ კითხვებს“? გრძნობები არ არის ოქმის ამონაწერი, რომ საკანცელარიო წიგნში „ჩააკერო“. ახალგაზრდობას აქვს გაზაფხულის სიმღერები, იდეალები, თავდავიწყება. და როცა ამ პასუხს ვერ იპოვის საბჭოთა მწერლობაში, მაშინ იგი გარბის პორნოგრაფიულ ლიტერატურისაკენ. მოვიხსნათ ვარდისფერი სათვალეები და ვთქვათ პირდაპირ, რომ ხშირად ის ღამეს ათევს უცხო გრძნობების სამყაროში.

ყოფაცხოვრების საკითხების აქტუალიზაცია არ უნდა გავიგოთ, როგორც კამერული ლირიკის ამნისტია. იმ უდიდეს ყურადღებასთან დაკავშირებით, რომელსაც პარტია (მაგალითად, სტალინის საუბარი მეტალურგიის მუშაკებთან) იჩენს კონკრეტულ ადამიანისადმი, არის ტენდენცია იქადაგონ რაღაც ნელტკბილი ვარდბულბულიანი სოციალიზმი. ზოგიერთი „ნორჩი ტრაგიკოსი“ თავს მაღლა წევს... მუშათა სასადილოს მაგიდებზე ლარნაკები გაჩნდა? მაშ გაუმარჯოს ყველაფერს, რაც წუნარია და ტკბილი! აქ უკვე არავითარ ლიტერატურულ შელავათზე ლაპარაკი არ შეიძლება. ლენინური კრიტიკა ასეთი ცდების წინააღმდეგ უნდა იყოს დაუნდობელი. ტყუილა ფიქრობენ ბულბულის ნისკარტიანი პოეტები, რომ ცოცხალი ადამიანის პრობლემატიკით დაინტერესება მოასწავებს იმ დეკადენტური განწყობილებების გამართლებას, რომელსაც რამდენიმე წლის წინად, ესენინშჩინის პერიოდში, ჰქონდა ადგილი. ფუჭი ოცნებაა ეს! ეს არის იგივე კლასობრივი მტრის გააქტივების თავისებური მალული ფორმა, მისი გავლენის გამოხატულება. ეს თვითდამშვიდება, ობივატელური თვითკმაყოფილება ნათლად გამომჟღავნდა ეგ. წ. „სიყვარულობიანას“ თემებზე დაწერილ ლექსების ციკლში, რომელიც გადამდებ ეპიდემიასავით ვრცელდება ახლა. ვინ ამბობს უარს დაიწეროს სიყვარულზე. პირიქით, ეს აკლია ჩვენს ლიტერატურას. მაგრამ, ჩვენ არავის მივცემთ უფლებას სიყვარულის სახელით წერონ გაცოფებული მტრის მანიფესტები. ჩვენ გვინდა რევოლუციის ჩვიდმეტწლიანი ბიჭების და გოგონების ჯანსაღი გრძნობები. საჭიროა პოეტი, რომელიც ჩაწვდება ამ თაობის სულის ნიუანსებს. საჭიროა ლექსები, რომელსაც იმღერებენ ისე, როგორც ერთ დროს ქუჩაში მღეროდენ დაუვიწყარ „კარმანიოლას“? აი, ასეთი „ემოციონალური ზედმოქმედების“ უნდა იყოს ჩვენი ლიტერატურა, მაშინ ეყვარება იგი ახალგაზრდობას.

ჩვენ მოველით ისეთ ნაწარმოებს, რომელსაც არა მარტო წაიკითხავენ, არამედ ათჯერ წაიკითხავენ, ზეპირად იტყვიან, რომლიდანაც გადმოიღებენ ლოზუნგებს, სახელებს, განწყობილებას, ეპიტეტებს და ყოფაცხოვრებაში გადაიტანებენ. ჩვენ გვინდა მებრძოლი ფლეიტა, რომელიც გაგვახარებს და აღტაცებაში მოგვიყვანს ჩვენი სოციალისტური საქმიანობით, დაგვაფიქრებს ტყეში გახიზნულ ესპანელ ამხანაგებზე... ვისაც ეს ამოცანები არ აწუხებს, ის უთუოდ ცოცხლად შევა სიძველეთა მუზეუმში—იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მას არ ეყოლება მკითხველი, არ ექნება მასის მხარის დაჭერა, მისი სიმპატია და აღტაცება. უნდა მივხედოთ „ინტიმურ თემატიკასაც“, უნდა ვისწავლოთ სიჭაბუკის სიმღერები, რადგან ამას მოითხოვს ვნებიანი, იდეური, კომუნისტური ახალგაზრდობის დღის წესრიგი.

ლიტგაზეთი

# ალვზარდოთ, დავეხმაროთ ზრდაში, მივცეთ პერსპექტივა

ი. სტალინი

## ყოფა-ცხოვრება ქართულ მხატვრობაში

ზ. ალხაზიშვილი

მეტად საინტერესო მოვლენაა საერთოდ მხატვრობის განვითარების ისტორიაში:

რეალიზმი მხატვრობაში ყოველთვის თავის განსახიერებას ღებულობს ე. წ. „ჟანრის“ ყ-ცხოვრებითს სურათებში. ავიღოთ მაგ.: ჰოლანდიური მხატვრობა, შემდეგ კურბე, მილლე, რუსეთში „პერედვიჟნიკები“, ჩვენში გიგო გაბაშვილი, ალ. მრევლიშვილი და ვანო ხოჯაბეგოვი: საერთო ყოფა-ცხოვრება ყოველთვის ამა თუ იმ სიუჟეტში არის გახსნილი.

სამწუხაროდ, ა. მრევლიშვილისა და ვ. ხოჯაბეგოვის შემდეგ ქართული ახალი მხატვრობა ნაკლებ ყურადღებას აქცევს ყოფა-ცხოვრების დასურათებას. ამიტომ არის, რომ ძნელად თუ შეხვდებით რომელიმე თანამედროვე მხატვრის სიუჟეტიან სურათს. ჩვენი მხატვრები თუ ხატავენ ქარხანას ან კოლმეურნეობას, იღებენ ან ერთ სტატიკურ მომენტს, ანდა რომელიმე კოლმეურნეობის საერთო ხედს მაშინ, როდესაც საჭიროა კოლმეურნეობის ყოფა-ცხოვრების სცენების მოცემა. აქ საჭიროა დეტალების მეტი დასურათება ან სურათის ერთ მთლიან სიუჟეტზე აგება, როგორც, მაგალ., განსვენებულ ა. მრევლიშვილის ძველ ქართულ სოფლის მასალაზე აგებული სიუჟეტები. საყურადღებოა ამ მხრივ ლადო გუდიაშვილის სურათები, რომლებიც ძველი ტფილისის ყოფა-ცხოვრების მასალაზე არის აგებული. მიუხედავად მხატვრული დეფორმაციისა, ლ. გუდიაშვილის ძველი ტფილისის ყოფა-ცხოვრებითი სურათები მაინც სათანადო „ჟანრს“ ქმნიან, რადგან მოცემულია მთელი რიგი სცენები კინტოების ყოფა-ცხოვრებიდან. ელ. ახვლედიანის „ბაზრის ქუჩა ტფილისში“ უფრო ქალაქის პეიზაჟია, ვიდრე ჟანრის სურათი. იგივე ითქმის თ. აბაკელიას, კ. გრძელიშვილის, კ. სანაძის, ა. კოპალიანისა და კოლმეურნეობის ცხოვრებიდან გაკეთებულ სურათების შესახებ. ეს მრავალი „ჩაის პლანტაციები“ უფრო პეიზაჟებია, ვიდრე ყოფა-ცხოვრების გამომსახველი სურათები. დ. წერეთლის „შურისძიება“, მართალია, სიუჟეტური სურათია, მაგრამ იგი აგრეთვე ვერ ჩაითვლება საბჭოთა კოლმეურნეობის ყოფა-ცხოვრების ამსახველ სურათად.

ყოფა-ცხოვრების განსახიერების მხრივ, ჩვენს მხატვრობას ჯერ კიდევ დიდი მუშაობა მართებს. ჩვენი საბჭოთა კოლმეურნეობანი, აგრეთვე საბჭოთა ქალაქების ყოველდღიური ცხოვრება მეტად მდიდარ მასალას იძლევიან მხატვრული ტილოების შესაქმნელად. საჭიროა, რომ ახალგაზრდა მხატვრებმა მეტი ყურადღება მიაქციონ „ჟანრული“, ყოფა-ცხოვრებითი სურათების შექმნას. ამ მხრივ უნდა გამოყენებული იქნას შემოქმედებითი პრაქტიკა წარსულის დიდი რეალისტებისა, როგორც მხატვრული მემკვიდრეობა. საჭიროა აგრეთვე დაკვირვების უნარის განვითარება ჩვენს მხატვრებში, რათა ჩვენი ცხოვრების მრავალსახეობა და მრავალნაირობა რეალისტურად აისახოს მხატვრულ ტილოებზე. ეს არის საბჭოთა მხატვრის ყოველდღიური ამოცანა, რადგან ჩვენი შესანიშნავი ეპოქა მოითხოვს სათანადო ცოცხალ შემოქმედებითი ასახვას.

 აი, ჩვენ კომკავშირელი მუშაკები ვართ, და ჩვენ გვიხდება მუშაობა ისეთ ადამიანებთან, რომლებიც 1917 წელს ოთხი წლის იყვნენ. ჩვენ კი 1918—1919 წლებში უკვე ფრონტზე წავედით. იმ ადამიანებს, რომლებიც 1917 წელს ოთხი წლის იყვენ, არ უნახავთ არც რევოლუცია, არც სამოქალაქო ომი, არც ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველი პერიოდი. ეს კომკავშირელები მტკიცედ უნდა ალვზარდოთ, ამასთან ალვზარდოთ ცოტა სხვანაირად, ვიდრე ზოგიერთი თქვენგანი ფიქრობს. კულტურის მხრით ეს ახალგაზრდა, რომელიც 1917 წელს ოთხი წლის იყო, თქვენ თითონ გასწავლით ბევრ რაიმეს: თქვენ ლაყბობთ საკუთარ თავზე მუშაობის შესახებ, ის კი უკვე სწავლობს სალამოს კურსებზე; ბევრმა თქვენთაგანმა წილადები არ იცის, ისინი კი ეუფლებიან უმაღლესი მათემატიკის მწვერვალებს! ამ ახალგაზრდობაში ბევრი რამ არის სასარგებლო, მაგრამ ახალგაზრდობის გამო მასში ბევრი რამ არის არამტკიცე, გამოუბრძმედავი, გამოუმწვარი,—და აი აქ იხსნება ფართო გზა მისი ალზრდისათვის. ეს ახალგაზრდობა უნდა იყოს გამობრძმედილი, ამაყი, გაბედული. საერთო თემატიკიდან უნდა აირჩიოთ ის, რაც უფრო შეეფერება ახალგაზრდა მკითხველს. აი მასალის ასე ყურადღებით შერჩევა, ასე ყურადღებით დახარისხება თქვენი მხრით არ ჩანს.

ა. კოსარევი



ილუსტრაცია ხ. კეცხოველისა




ესკიზი კოტე ხიმშიაშვილისა

ჰოი! გესმის თუ არა შენ, დაიკო?.. მე მან მაკოცა!.. შენს თავს გეფიცები, მაკოცა... აღარ ვიცი რა გითხრა... აი, ხელს დავიდებ მკერდზე და მგონია გული გამისკდება...

ეს ისე მოულოდნელი იყო ჩემთვის, ამან ისე გამაოცა!..

მინდა დალაგებით მოგწერო ყველაფერი, მაგრამ ამბავი წესრიგში ვერ მომყავს ამ ჩემ გაწეწილ კულულებივით.

წარმოიდგინე დაიკო, ჩვენ ამ სალამოს საშეფო სოფლიდან ვბრუნდებოდით. კომკავშირის უჯრედმა რეიდი მოაწყო მოსავლის აღებისათვის მზადყოფნის შესამოწმებლად.

მე და ის ერთ ბრიგადაში მოვხვდით, ის კარგი ბიჭია, ზრდილი და ცოტა დინჯიც. უჯრედში კრებებზე ხომ იცი რა ამბებს ასტეხავს ხოლმე, წამოვჭრი ერთ რომელიმე თავსატეხ კითხვას, დავიჟინებ, აღარ მოვეშვები და თავბედს იწყევლის მდივანი, ნანობენ ბიუროს წევრები, რომ ასეთი დაუდეგარი გოგონა მიმიღეს, კომკავშირელები კიდევ კამათითა და რეპლიკებით იქაურობას იკლებენ...

ასეთ დროს, როცა გაცხარებული ახალგაზრდები მოუსვენრად ცქმუტავენ კლუბის დარბაზში ორ მხარეს ჩამწკრივებულ სკამებზე, ღია ფანჯრის გარედან ნაძვი ირხევა, მომცრო, წითელ სუფრიან მაგიდასთან თავმჯდომარე ჯავრს ზარზე იყრის, მდივანმა აღარ იცის ოქმში რა ჩაწეროს, ბელადების სურათები კედლებიდან მეტის ყურადღებით გვაშტერდებიან და მე გამარჯვებას ვზეიმობ, რომ საჯანჯლო საქმე აღმოვაჩინე, უსათუოდ ვახტანგი წამოდგება (ეს ჩემი თანამგზავრი გახლავთ), ყველას ხმას დაფარავს და ისეთ წინადადებას შემოიტანს, რომ უნებურად მთელი კრება უნდა გაჩუმდეს. მას ლაპარაკის თავისებური მანერა აქვს, მარცხენა ხელს ქამართან დაიდებს, მარჯვენათი კი, სიტყვების ტაქტის მიხედვით, თითქოს და ჰაერში ლურსმნებს აჭედებსო.

იტყვის და თავის ნათქვამს აუჩქარებლად გაიყვანს. ის რომ არ იყოს, ჩვენი უჯრედი ჩემგან სულ მთლად აფორიაქებული იქნებოდა.

და აი, მე და ამ ვახტანგმა რეიდი ჩავატარეთ, სწორე მოგახსენოთ დიდი საქმე გავაკეთეთ. კოლექტივის ქარაფშუტა თავმჯდომარეს დავიწყებოდა, რომ სამკელ მანქანას დანების გამოცვლა სჭირდება. მე და ვახტანგმა ეს მისვლისთანავე შევამჩნიეთ, ვხედავთ, მანქანა გაუზეთავთ, გაუპრიალებიათ, ერთი შეხედვით ყველაფერი რიგზეა, მაგრამ კომკავშირელებს ასე ადვილად ვერ გააცურებთ!

თავმჯდომარე ერთი მაგრა შევაფუცხუნეთ და მანამდი არ ჩამოვეხსენით, სანამ კაცი ცხენზე არ შესვა და ჩვენ დაბაში არ გაგზავნა ახალი დანების მოსატანად.

ჩვენ რომ არ გაგვეხსენებია, სამკალად ბლაგვი დანებით გამოვიდოდენ, ვერაფერს მომკიდენ, შეკეთებას მერე დაიწყებდენ, ამასობაში კი, შეიძლება ყანები ჩაიწვას, ან ქარმა თავთავი დააყრევინოს, სეტყვამ დაჯექოს, ან დიდმა წვიმებმა ჩაალპოს!.. ყველაფერი გულდასმით დავათვალიერეთ, დავპირდით კოლექტიველებს, რომ მოსავლის აღების დროს შაბათობას მოვაწყობთ დასახმარებლად და რაც მთავარია, კულტმომსახურეობისთვის ბრიგადას გამოვგზავნით, და უკან დავბრუნდით.

მზე უკვე ჩასავალს იყო. მოვდიოდით ყანებს შუა, ჩვენ დაბაზე სოფელი რაღაც სამიოდე კილომეტრითაა დაშორებული. ვახტანგმა მარტო კრებებზე კი არ იცის კარგი ლაპარაკი, ისედაც მშვენიერი მოსაუბრეა, სასაცილო ამბავს მომიყვა ერთ-ერთ რომელიღაც სოფლის უჯრედის მდივანზე, რომელიც გატაცებული იყო ზემდგომი ორგანოების დადგენილებების ზერელე, კამპანიურად დამუშავებით... ბევრი ვიცინე, აბა, შენც ხომ იცი, სიცილში ბადალი არავინა მყავს, ოღონდ საბაბი ვიშოვნო რაიმე და...

ჩემო დაიკო, რა კარგია სალამოს, მზის ჩასვლისას გრილი ნიავი რომ დაუბერავს ხოლმე. პურის ყვითელ თავთავებს არხევს, ისინი ოქროსფერ ტალღებად ღელავენ და ბიბინებენ. ყანების გვერდით, მოთიბულ ბალახით მოფენილ ვიწრო ბილიკზე ფეხი გისრიალებს. შიშველ წვივებზე ველური ყვავილები გეალმუნებიან. ნიავი კეკლუცად გიფურჩქნის თმას, კაბის კალთებს ბერავს და რაღაცას გეჩურჩულება.

ჩვენ ნელი ნაბიჯით მხარდამხარ მივდიოდით. მკერდი ღრმად ისუნთქავდა მცენარეების სუნით გაჟღენთილ ჰაერს, ჭრიჭინები განუწყვეტლივ ხმაურობდენ, მერცხლები დაბლა დასრიალებდენ და ხანდიხან მწყერის გაკვირვებული შეძახილი გვესმოდა.

პურის თავთავი მწიფეა უკვე, მწებვარე ბოლოზე თითებს მოავლებ და ხელის გულზე პატარა მარცვლები დაგიცვივდება. მე პურისგან გვირგვინი გავაკეთე და თავზე დავიდგი...

მზე სულ დაიმალა მთებს იქით. ყანებს უკან ტყის კონტურები შავად მოჩანდენ. დაბის წითლად შეღებილ სახლებს და ფერად მესერიან ბაღჩებს მივუახლოვდით, აქ ჩვენი გზა ორად იყოფოდა და ცოტა ხანი შევსდექით .. ის გაღმა უნდა წასულიყო, მე კი პირდაპირ სახლში მივდიოდი. შევსდექით და გავჩუმდით. გზის პირას მაყვლის ბუჩქი იყო, ჩახლართული, ერთმანეთზე მიკრული ტოტებით და შავი მარცვლებით. ბუჩქში შაშვმა დაიჭახჭახა. მე თანამგზავრს ხელი გავუწოდე:

— ნახვამდის, ამხანაგო, მე აქეთ მივდივარ.. მან ღიმილით ხელი ჩამომართვა და... არ ვიცი, დაიკო, ის დაიხარა ჩემსკენ, თუ მოთიბულ ბალახზე ფეხი გამისრიალდა და უნებურად მე თვითონ მივეყრდნე, ან ნიავმა ხომ არ მიგვაახლოვა ერთმანეთს... ეს კია მხოლოდ, რომ მე უეცრად მის მკერდთან გავჩნდი, მან ორივე ხელები მკლავებში მომკიდა, უფრო მიმიზიდა და ლოყაზე მაკოცა... ერთ წუთს შაშვმა ჭახჭახი შესწყვიტა, ჭრიჭინებიც გაჩუმდნენ, ნიავი გარინდდა და მგონი მერცხლებმაც ფრთები შეიკეცეს და სწრაფად დაეშვენ მიწაზე.

მან თვალებში შემომხედა, მერე ხმის ამოუღებლად მიტრიალდა და რამდენიმე ნახტომით ბუჩქებს მოეფარა, თეთრმა ხალათმა გაიელვა მწვანე ტოტებში.

საკვირველია, რატომ აქამდე ვერ ვამჩნევდი, რომ ძალიან ლამაზი და ალერსიანი თვალები ჰქონია...

მე მარტო დავრჩი, შემრცხვა, სახეზე ალმური მომეკიდა, აჩქარებული ნაბიჯით წავედი მეორე მხარეს, თვითონ არ ვიცოდი რა მომდიოდა.

თავი მაღლა ველარ ავიღე, კაბის კალთებზე ბუჩქები მედებოდენ და მაჩერებდენ, თითქოს უნდოდათ გამოეკითხათ ჩემთვის როგორ მოხდა ყველაფერი ეს. შაშვმა ნიშნის მოგებით მომაძახა, ჭრიჭინებმა სიმღერას უმატეს, ყაყაჩოები ეშმაკურად მიცინოდენ, მეჩვენებოდა, რომ მათ დაინახეს ის ამბავი და ახლა დამცინოდენ...

მე კიდევ უფრო ავჩქარდი, გავიქეცი, ნიავმა ყურებში შხუილი დაიწყო, გამომედევნა, ყელზე ჩამომეკიდა და რაღაცას სისინებდა, სწრაფად ვტოვებდი უკან გზაზე დაყრილ ქვებს, ბუჩქებს, ხეებს, არაფერზე არ ვფიქრობდი, ვცდილობდი რაც შეიძლება ჩქარა გავქცეულიყავ და ნიავს, თუ მინდოდა, გავსხლტომოდი ხელიდან.

დიდხანს ვირბენდი ალბად ასე, მაგრამ გზაზე დაგდებული ფიჩხი გამომებლანდა, ფეხი გამიცურდა და წავიქეცი. წამოვხტი, კაბის კალთებიდან ეკლიანი სარეველას ბუსუსების მოცილება დავიწყე და სიცილი ამიტყდა. გიჟი გეგონებოდი, რომ გენახე, ვიდექი მინდორში მარტოდმარტო, კაბიდან ეკლიან ბუძგებს ვიცილებდი და შეუკავებლად ვკისკისებდი. რა მიხაროდა ახლაც არ ვიცი, მგონი ვერც გავიგებ ოდესმე...

რატომ მაკოცა? ჯერ ჩემთვის ვაჟს არ უკოცნია... მე ახლაც ვგრძნობ მარცხენა ლოყაზე მისი ტუჩების შეხებას. ეს იცი რას მაგონებს დაიკო? მწიფე ატამი თუ მიგიდვია პირისახეზე, კანს რომ გიღიზიანებს და კვალს დაამჩნევს... არა, ატამი კი არა, ნიავი რომ ჩაგიქროლებს რა ჰაეროვანი თითებით მოგიცაცუნებს... არა, რის ნიავი, ხავერდი, ხავერდი ან მტრედის ბუმბული, რბილი, სათუთი, ნაზი... სახლში რომ მივედი, მაშინვე სარკეს ვეცი...

ახლა სულ სხვაგვარად მეჩვენება ყველაფერი, აი, თურმე რა ყოფილა!

რომ შევხვდები, როგორ უნდა შევხედო ახლა მას? რა უნდა უთხრა? რას მეტყვის თვითონ?

ცუდად ხომ არ მოიქცა, რომ მაკოცა? შენ რას იტყვი დაიკო? მე მგონია ეს არაფერი დანაშაულია თუ...

აჰა, თავზე დადგმული პურის გვირგვინიდან მარცვლები ქაღალდზე ჩამოცვივდა, თავთავი უკვე მწიფეა დაიკო...



# კაცობრიობის ისტორია

**ლეონიდე პერვომაისკი**

თარგმანი კონსტანტინე ლორთქიფანიძისა

ეს იყო იმ დაუვიწყარ დღეებში, როცა ჩვენს ორგანიზაციაში კედლები პირველად დაამშვენეს ლოზუნგით: „учи учась—учась учи“.

— შენ ინტელიგენტური ბიჭი ხარ,— მითხრა ალიოშამ:—მამაშენი მკინძავია და თქვენ წიგნები ბლომად გაქვთ შინ. მეხსიერება კარგი გაქვს, ასე რომ შენ მოგიხდება ლექციების წაკითხვა პირველყოფილ კულტურაზე.

იმის გამო, რომ მამაჩემი მკინძავი იყო და ცხოვრობდა დაქირავებული შრომით, მე კომკავშირში „ინტელიგენტური ბიჭი“ შემარქვეს და ყოველთვის მავალებდენ ისეთ რამეების გაკეთებას, რისგანაც თავბრუ გესხმება და თვალები გადმოცვენაზე გაქვს.

რაგინდ ფენომენალური მეხსიერებაც არ უნდა მქონოდა, რა თქმა უნდა, მაინც არ შემეძლო თუნდ ერთი სტრიქონის დამახსოვრება იმ წიგნებიდან, რომლებიც თავის დღეში არ წამეკითხა. მე უფრო ვიყავი დაინტერესებული ფენიმორ კუპერით, „Вокруг Света“-ს და „Всемирная Панорама“-ს კომპლექტებით, ვიდრე პირველყოფილი კულტურით. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა პირისპირ უნდა შევხვედროდი ამ საკითხს.

გუბკომის ბიბლიოთეკა მემამულისაგან ჩამორთმეულ წიგნებისაგან შედგებოდა. რეკვიზირებული შკაფები კედლის გასწვრივ იდგა და გამტვერილ მინებში მქრალად გამოკრთოდა ბრძნული ტომების ყდები. ოთახი არასდროს არ იწმინდებოდა. იგი გაჟღენთილი იყო მტვრით, მწიგნობრობითა და თაგვის სუნით.

შავთმიანი ქალიშვილი—ბიბლიოთეკარი ცდილობდა მთელი ამ ქონების მოწესრიგებას, მაგრამ ამაოდ.

— შენ ხომ არაფერი გაქვს პირველყოფილ კულტურაზე?—მივმართე შავთმიან ქალიშვილს მან გაკვირვებით აიქნია თავისი გრძელი წამწამები და ჩუმად დაიწყო კატალოგის ფურცვლა. საქმის დაწყებისთანავე მიმტყუნა ბედმა. წიგნების სათაურები თავისვე ნახელოვნებ ანწლის მელნით ჩაეწერა ქალიშვილს, და ისინი ჟამთა ვითარებაში სავსებით წაიშალა და გამოხუნდა.

— ვერაფერს ვარჩევ,—შეშინებული წაილუღლუღა მან, და მე თავი დავხარე კატალოგზე, რომ ქალიშვილს მივხმარებოდი. ლოყაზე მომილიტინა მისი აბრეშუმის თმის შავმა ნაწნავმა. მეც ვერაფერი გავარჩიე კატალოგში.

— პირდაპირ შკაფში უნდა ვეძებოთ,—ამოვიოხრე და გვერდზე მივდექი.

— მოგეხმარები,—გამზადებულად დამეთანხმა ქალიშვილი. და პირველად ჩვენ გამოვაღეთ ბიბლიოთეკის ფანჯრები. ხმაურობდა გაზაფხული. ოთახში შემოიჭრა ნიავქარი, შეაბრიალა მაგიდაზე მოფანტული ქაღალდები.

რამდენი სიბრძნე იყო ამ ნიავქარის საგაზაფხულო გაქანებაში, ასე რომ შემოვარდა დახუთულ ბიბლიოთეკაში, სადაც შავთმიან ქალიშვილს ვერ მოეწესრიგებია მემამულის ყოფილი ქონება! რა მადლიერი ვიყავით ჩვენ ამ ნიავქარის! სული გვიგუბდებოდა ჩვენი სიჭაბუკის ჭარმაგობით, და ჩვრებით შეიარაღებულებმა, ტყავში ჩასმული წიგნების გადაწმენდა დავიწყეთ.

ჩვენი მუშაობა სულ არ მიდიოდა წინ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის არც კი დაძრულა მკვდარ წერტილიდან. როცა წიგნისკენ გავიწევოდით, მე რატომღაც ყოველთვის ხელში მხვდებოდა პაწია შავგრემანი ხელი, ანწლის მელანში ამოსვრილი წვრილი თითებით. ეს იყო წამიერი გრძნობა. მაშინვე წყნარად ვსხდებოდით იატაკზე, ვლაპარაკობდით ორგანიზაციის მიმდინარე დავალებებზე და მე მოწყენილი ვტრაბახობდი ჩემი ახალი დატვირთვით,—პირველყოფილი კულტურით. მერე მძიმედ ამოვიოხრებდით და ისევ ვცდილობდით ხელი მიგვეყო მუშაობისათვის, მაგრამ მისი პრიალა კულული ზედ ჩემ ტუჩებთან ქანაობდა და მუშაობას მიშლიდა. მაშინ ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ცალ-ცალკე გვემუშავნა. ათიოდე წუთში მუშაობა გაჩაღდა, მაგრამ შემდეგ ისე მოხდა, რომ ერთ შკაფთან ჩვენ ხელახლა შევხვდით ერთმანეთს, და არეულად ვიღიმე-



ბოდით, როცა ჩვენი ხელები რაღაც მანქანებით ერთდებოდენ „იმპერატრიცა ეკატერინე მეორეს“ თხზულებათა ყდაზე.

სამწუხაროდ, იმპერატრიცა ეკატერინეს არაფერი უწერია პირველყოფილი კულტურის შესახებ. ჩვენ განვაგრძეთ შემდგომი ძებნა.

■

ჩვენი ძებნის მეორე დღეს ქალიშვილმა თქვა:—ბურჟუაზიას არ აინტერესებდა კულტურული საკითხები. იგი ეწეოდა მუშების ექსპლოტაციას და ცხოვრობდა, როგორც პარაზიტი. აქ ჩვენ ვერაფერს ვნახავთ ..

იმავე დღეს შემხვდა ალიოშა და შემახსენა, რომ ჩემ პირველ ლექციამდე სამი დღე რჩებოდა და, რომ თეზისები უნდა მიმეცა მისთვის. ამ ცნობამ გამათავა. მთელი ღამე არ მიძინია. როგორც იქნა, დაველოდე დილას და სწრაფად მოვკურცხლე სამკითხველოსკენ. შავთმიანი ქალიშვილი უკვე მიცდიდა. ვუამბე თეზისების წარდგენის აუცილებლობაზე—და ჩვენ ორივე დავეცით სულით.

და სწორედ მაშინ, როცა უკვე დავკარგეთ უკანასკნელი იმედი, რომ რამე შესაფერის ვიპოვიდით, უკანასკნელი შკაფის ბნელ კუთხეში ჰელმოლტის „კაცობრიობის ისტორიის“ ცხრა ტომს წავაწყდით. სიხარულით ვიყვირეთ.

მთელი დღე წაგვართვა იმ სურათების თვალიერებამ, რომლებიც უამრავი იყო ამ უშველებელ ცხრა ტომში. ჩვენ უკვე აღარ გვაკმაყოფილებდა ჰაერი, უხვად რომ იღვრებოდა ფართოდ გამოღებულ ბიბლიოთეკის ფანჯრებში. ჩვენ 15-წლისანი ვიყავით, და თუმცა ჰელმოლტი დასურათებული იყო, მისი შესწავლა გაცილებით საამური იქნებოდა სადმე გაშლილ ადგილას—და არა იმ ჩაბნელებულ ბიბლიოთეკაში, სადაც გაზაფხულის ქარსაც კი არ შეეძლო თაგვის სუნის გაქრობა.

ხელი დავტაცეთ ჰელმოლტს და გავეშურეთ ქალაქის პარკში. ჩემი რუხი მაზარა მოლზე გავაფინე, მხარდამხარ მოვთავსდით, ვფურცლავდით გვერდებს და უფრო მეტხანს ვჩერდებოდით სურათებზე, ვიდრე ამას მოითხოვდა ჩვენგან საპასუხისმგებლო და რთული დავალება.

ძვირფასო მეგობრებო, ძნელი წარმოსადგენია, რამდენი საუცხოვო სურათი იყო ცხრა ტომში. აქ იყო, რაც მიიპყრობდა ხუთმეტწლიანი კომკავშირელების ყურადღებას. წიგნები დაბეჭდილი იყო წვრილი შრიფტით და ძნელი გამოსაცნობი იყო, რა უნდა წაგვეკითხა ცხრა ტომში ამ სამი დღის განმავლობაში.

მოაწია საღამომ, მოგვშივდა და უკვე დრო იყო შინ დავბრუნებულიყავით. ამ რამდენიმე დღეში ჩვენ ისეთი მეგობრები შევიქენით, თითქო მთელი საუკუნე ერთად მოგველიოს, და ისე კარგად გავიცანით ერთი-მეორე, რომ საკმარისი იყო რომელიმე ჩვენგანს რამეზე გაეფიქრა, მეორე უკვე მიუხვდებოდა ფიქრს. ხელი-ხელ ჩაკიდებული მივდიოდით ქალაქში. გზაზე ალიოშა შეგვხვდა.

— როგორაა საქმე!—მკითხა ალიოშამ:—არ დაგავიწყდეს, რომ ორი დღე დაგრჩა. თეზისები მზადაა?

მე თვალს არ ვუსწორებდი ალიოშას და გულმოდგინედ ვფათურობდი ჯიბეებში. მითიურ თეზისებს ვეძებდი.

ჩემი მეგობარი ქალიშვილი თავისი შავი თვალებით შეშინებული მომჩერებოდა ხან მე, ხან ალიოშას და დუმდა.

— სწორედ ახლა ვაპირებდი შენთვის მოცემას,—წავიბურტყუნე გაწითლებულმა:—მაგრამ რა იქნა, საკვირველია... ან რა ოხრად უნდა ადამიანს ამდენი ჯიბე!

ალიოშა არ დაეჭვებულა ჩემს გულწრფელობაში და ერთი წუთის შემდეგ მე და შავთმიანი ქალიშვილი, ხელიხელ ჩაკიდებული, ისევ მივდიოდით ქალაქში.

ყველაზე უფრო წიგნებმა დაარწმუნა ალიოშა. დიდრონმა წიგნებმა, ჩვენ რომ მივათრევდით,

და ასე სიცილით ვბრუნდებოდით ქალაქში და თითქოს საუკუნო მეგობრები ვიყავით, მაგრამ რაღაც შემთხვევითი და უცნაური იყო ჩვენ შორის... იგი გვაჩუმებდა სიტყვის დაწყებისთანავე, და როცა ამოვიოხრებდით, გვაიძულებდა მოულოდნელად შეგვეცვალა საუბრის საგანი.

ასე ხალისიანად და უდარდელად ვატარებდით დროს, როცა ორგანიზაციამ წამოისროლა ლოზუნგი: „Учи учась—учась учи“, და მე წილად მხვდა პიონერი ვყოფილიყავი ამ უაღრესად მნიშვნელოვან კამპანიისა, რომელიც შემდეგ გაგრძელდა წლობით და მცოდნე და მტკიცე ხელში უძლიერეს იარაღად გადაიქცა.

■

დამშეული ახალგაზრდობა ენთო ჩვენს თვალებში იმ დღეს, როცა ჩემი პირველი ლექცია უნდა შემდგარიყო. ჩვენ ხელახლა წაველით პარკში.

კითხვა სულ არ შეგვეძლო.

მუხის დახლართულ ტოტებში საგაზაფხულო ცა იწვოდა. ხევში ბალახი ყვაოდა. ახლო მიჯდა შავთმიანი ქალიშვილი და მისი ხელი ჩემ ხელში იდო. ჩვენ სულ ცოტას ვლაპარაკობდით. მახსოვს ათიოდე სიტყვაც არ გვითქვამს მთელი დღის განმავლობაში, სანამ არ შევნიშნეთ, რომ უკვე ბინდდებოდა... მაშინ მან შეშინებული წამოიძახა:

— შენ ხომ ლექცია უნდა წაიკითხო დღეს!

ჩქარ-ჩქარა აძგერდა გული. მერე წამით რომ გაჩერდა, ისევ აძგერდა უფრო უხშირა, ვიდრე მე ვფურცლავდი „კაცობრიობის ისტორიის“ გვერდებს იმ ამაო იმედით, რომ რაიმე დამემახსოვრებია, ან ისეთი სიტყვა მენახა, რომ ხელი ჩამეჭიდა. ხევიდან იშლებოდა საღამო. ხევის ძირზე დამცინავი ტყაპატყუპით ჩუხჩუხებდა ნაკადული. იქ, გუბკომში, ალბათ, უკვე შეიკრიბა წრე. მელოდებიან ამხანაგები მეოთხე სახწისქვილიდან და მექანიკურ სახელოსნოდან. მე კი სულ დამავიწყდა ეს... მთელი ამ დღეების განმავლობაში ერთხელაც არ გამხსენებია ისინი, ერთი მიზეზის გამო, რაშიდაც მრცხვენია ახლა გამოვტყდე. უნებურად ხელი დავაფარე თვალში შემთხვევით მოხვედრილ სურათს. ეს იყო ბენარესი განგის ნაპირზე. მშვენიერი შენობები მზის სხივებში ინთქებოდა. უზარმაზარი, ჩინებული კიბე ზე წყალზე ეშვებოდა. საფეხურებზე ქალები ისხდენ, თეთრი ტანსაცმელი ეცვათ, თვალისმომჭრელი. მდინარეში ბანაობდენ მოყვანილი, მზენაკრავი ინდოელები, ნაპირზე კი კოცონები ბრიალებდა: მკვდრებს სწვავდენ.

— წადი,—მითხრა ჩემმა მეგობარმა ქალიშვილმა ისეთი ხმით, რომელიც ერთხელ გესმის სიცოცხლეში, და ხელქვეშ შემომიდო „კაცობრიობის ისტორიის“ ტომი, სწორედ ის, რომელსაც ახლახან ვათვალიერებდი—წადი,—გაიმეორა და ტუჩებში მაკოცა.

არაჩვეულებრივი გულდაჯერებულობა დამებადა სულში. წუთის შემდეგ მივქროდი გუბკომში და გულზე ვიხუტებდი კაცობრიობის ისტორიას. სიხარულით ელავდა ჩემი თვალი, როცა შევიჭერი ოთახში, სადაც უკვე მიცდიდენ ამხანაგები მეოთხე სახწისქვილიდან და მექანიკურ სახელოსნოდან. ალექსი მომეგება სიტყვებით:

— დროზე მოდი, ჩვენ კი გვეგონა, დაიგვიანებდი.

თეზისები არც კი უკითხავს. მივედი მაგიდასთან, დავდევი „კაცობრიობის ისტორია“... და დავიბენი. ამხანაგები (ისინი ოცამდე იქნებოდენ) იქეთ-აქეთ დგამდენ სკამებს, თლიდენ ფანქრებს, ილებდენ რვეულებს.

სად დაიკარგა ჩემი გულდაჯერებულობა, ჩემი ნებისყოფა და ჩემი უდრეკი რწმენა ჩემ ვარსკვლავში, რომელსაც არა ერთხელ გამოუყვანივარ უფრო დახლართულ ისტორიიდან, ვიდრე ეს კაცობრიობის ისტორია იყო. ვიდექი დაბნეული, გაყუჩებული და არ ვიცოდი—რისგან დამეწყო, ვერ მომენახა სიტყვა, რომელიც მოისურვებდა ჩემი პირიდან ამოსვლას. ყველა სიტყვამ პირი შეკრა ჩემ წინააღმდეგ, ისინი ველური ცეკვით მიტრიალებდენ თავში და ამ ზღვა ქაოსიდან ორი სიტყვა ამოტივტივდა მხოლოდ—პირველყოფილი კულტურა — და სწორედ ამაზე არ ვიცოდი არაფერი. ჭერს ვაპყრობდი თვალებს, დავჩერებოდი იატაკს და ჩემი ხედვა ეხეტებოდა კედლებზე, რომ უცებ ფანჯრიდან თვალი მოვკარი, როგორ მოდიოდა ქუჩაზე, გუბკომისკენ, ჩემი შავთმიანი მეგობარი ქალიშვილი. გადაჭრით გადავშალე „კაცობრიობის ისტორია“, მოვნახე ბენარესი. სურათი მაღლა ავწიე და ვაჩვენე მოყურადებულ აუდიტორიას.

— აი, ხედავთ თქვენ წინ პირველყოფილ კულტურას,—დავიწყე გაბედულად—მდინარეს უწოდებენ განგს, ქალაქს კი ბენარეს. ასე შეგიძლიათ ჩაიწეროთ,—მე პასუხისმგებელი ვარ ჩემ სიტყვებზე. ეს ყველაფერი, ერთად აღებული,

(გაგრძელება შემდეგ გვერდზე)

# გაზეთებიდან

**ახალგაზრდა კომუნისტი**

„როცა ამ სტრიქონებს ვწერ, მიძნელდება დავალაგო აზრები, რადგან უსაზღვროდ აღელვებული ვარ. რას წარმოვადგენ ახლა მე?—ეს კითხვა უფრო მკაცრად [illegible]ისმება ჩემ წინაშე და არ მაძლევს მოსვენებას. თქვენ არ იფიქროთ, რომ საქმე გაქვთ რომელიმე მოტირალ „ობივატელთან", რომელიც ოხვრაში ატარებს თავის ახალგაზრდობას და ცრემლებს ღვრის. მე ხულითა და გულით მეზიზღება ასეთი ქარაფშუტა ადამიანები"...

ეს სიტყვები ეკუთვნის კომკავშირელ ქალს ამხ. ლ უ ბ ა მ წ ა რ ი ა შ ვ ი ლ ს, რომლის წერილით გაზ. „ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა კ ო მ უ ნ ი ს ტ ი ს" რედაქციამ დაიწყო დისკუსია ახალი ყოფა-ცხოვრების საკითხებზე. დისკუსიამ მეტად ფართო გამოხმაურება მოიპოვა ადგილებზე, მუშა და კოლმეურნე ახალგაზრდობაში, მის აქტივში და ერთხელ კიდევ დაადასტურა ის ფაქტი, რომ ჩვენ დიდი მანძილით დავიტოვეთ უკან მონური წარსული.

ამხ. მწარიაშვილი „კომუნისტმა" ქმარმა დატოვა ქუჩაში ძუძუმწოვარა ბავშვით, ამან ის მიიყვანა გულგატეხილობამდე: „ნუ თუ ასეთი ბედი მოელის ყველას?"—შეშფოთებული კითხულობდა თავის წერილში ამხ. მწარიაშვილი. „შეიძლება მე შევცდი. ნუ თუ არ შეიძლება შეცდომის გამოსწორება, კომკავშირული გაზაფხულის დაბრუნება?"

ასეული ამხანაგი გამოეხმაურა ამ წერილს. მთელი თვენახევრის განმავლობაში წარმოებდა მსჯელობა, კამათი, აზრთა გაცვლა-გამოცვლა ამ საკითხებზე. საბჭოთა მეურნეობებში, ტექნიკუმებში, ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებში და სკოლებში ეწყობოდა დისპუტები, მოხსენებები.

ამხ. მწარიაშვილის მაგალითი გამონაკლისია. ჩვენს ქვეყანაში ახალგაზრდობას აქვს სრული შესაძლებლობა მაქსიმალურად გამოიყენოს თავისი ნიჭი, ენერგია და შემოქმედებითი შესაძლებლობანი. ასეთია ამ ჟამრავი შენიშვნების და სიგნალების მთავარი აზრი. ჩვენ გვაქვს კომკავშირული ოჯახი, იგი იზრდება, ჩვენ თვალწინ იმატებს სისხლს და ხორცს. ჯანსაღი ოპტიმიზმი იგრძნობა ამ პატარა კორესპონდენციებში მაშინაც კი, როცა იგი ამხელს ყოფა ცხოვრების მახინჯ მხარეებს. დისკუსია საინტერესო და მეტად საგულისხმო მოვლენა იყო იმითაც, რომ მან სწორი ორიენტაცია მისცა ახალგაზრდობას ამ საქმეში, დასახა გზები, შებრძოლა მახინჯ მოვლენებს.

„ცოცხალი ადამიანი ჩააკერეს ოქმში"—ასეთი სათაურით გამოიტანა მზის სინათლეზე გაზეთმა სოფ. ვაქინის კომკავშირული ორგანიზაციის უმსგავსო მოქმედება. ვაქიის „გმირებმა" იქამდე შესტოპეს, რომ კრებაზე მოისმინეს კომკავშირელი ქმრების საანგარიშო მოხსენებები და ცოლების თანამოხსენებები (??)...

ყველა ამ ფაქტს გაზეთმა მისცა სწორი პოლიტიკური შეფასება და ავადმყოფური მოვლენების მიმართ გაამახვილა ახალგაზრდობის ყურადღება.

სად არიან ჩვენი პოეტები და მწერლები ამ დროს?

ამ კითხვას აყენებდა არა ერთი და ორი მუშა და კოლმეურნე ახალგაზრდა, ჩვენი ქვეყნის სახელოვანი ადამიანი.

ლიტერატურული ძალების მონაწილეობა ყოფა-ცხოვრების საკითხების ირგვლივ გამართულ დისკუსიაში სრულიად არ ჩანს. ამის გამო ამხანაგები გამოთ ვამდენ სამართლიან საყვედურს. გამონაკლისს წარმოადგენს ს ე რ გ ო კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი ს პოლიტიკურად საკმაოდ მახვილი ფელეტონი—„ჩემი ნაცნობი ქალიშვილი". აქაა პორტრეტი „ობივატელ" ქალისა, რომელიც დღე და ღამე დაძრწის თეატრის ფოიეში, „ტორგსინში", პროსპექტზე და ყოველ საღამოს სწავლობს ცეკვას პატეფონის უკანასკნელი რეპერტუარის მიხედვით.

ეს დისკუსია მნიშვნელოვანი ინიციატივაა. ჩვენი მწერლების მოვალეობაა—ყოველ მხრივ შეუწყონ ხელი ყოფაცხოვრების საკითხების მხატვრულად გაშუქებას, ფხიზლად მოეპყრან იმ ამოცანებს, რაც აწუხებს და აინტერესებს ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობას.

**ახალგაზრდა ლენინელი**

„ლიტგაზეთის" რედაქციამ მიიღო აჭარისტანის კომკავშირული გაზეთის „ახალგაზრდა ლენინელის" სამი უკანასკნელი ნომერი. მიუხედავად იმისა, რომ აჭარისტანელ ამხანაგებს აქვთ გაზეთის ტექნიკურად უკეთ გამოცემის შესაძლებლობა (პოლიგრაფიული ბაზა., ცინკოგრაფია და სხვ.), გაზეთი მაინც, განსაკუთრებით კულტურის საკითხებისადმი მიძღვნილი გვერდები, კარგ შთაბეჭდილებას ახდენს. მაგ. კარგია შინაარსითაც და გაფორმებითაც „ჩაპაევისადმი" მიძღვნილი გვერდი. სამართლიანად იქცევა გაზეთი, როცა ნომრიდან ნომერში აჭარისტანის მუშათა ახალგაზრდობის თეატრზე ათავსებს მასალებს—ეს საქმე კომკავშირის საამაყო საქმეა კულტურის ფრონტზე. საჭიროა გაზეთმა ამხანაგურად მიუთითოს ამ თეატრს „ჩვეულებრივ" რაიონულ პროფთეატრებისთვის დამახასიათებელ ზოგიერთ უარყოფით ტენდენციებზე, რომელიც აუცილებლად ჰქონდა მას.

„ლიტგაზეთი" განსაკუთრებით აღნიშნავს იმ მიღწევას, რომელიც აქვს ამ გაზეთს ბავშთა შემოქმედების ოლიმპიადაში. „ახ. ლენინელი" მშვენივრად გამოეხმაურა ჩვენ წამოწყებას, მისცა კარგად შერჩეული და გაფორმებული გვერდი და თან წამოსწია ოლიმპიადის ახალი ლოზუნგები: პ ი ო ნ ე რ ო ა ხ მ ი ბ ი ს შ ე ჯ ი ბ რ ი ლ ი ტ მ ი ნ ი მ უ მ ი ს ჩ ა ბ ა რ ე ბ ა შ ი, ცალკე ბავშთა შემოქმედების კრიტიკული განხილვა და სხვა. ლიტმინიმუმში შედის განსაზღვრულ მხატვრულ ნაწარმოებთა შესწავლა და ჩვენი „ლიტგაზეთის" გავრცელება. საჭიროა გაზეთმა ეს თავისი წამოწყება არ დაივიწყოს, ნომრიდან ნომერში ორიოდე სიტყვით მაინც კონტროლი გაუწიოს ოლიმპიადის მიმდინარეობას.

**ახალგაზრდა სტალინელი**

რაიონულ გაზეთებს შორის განირჩევა ქუთაისის კომკავშირული გაზეთი. ცოცხლად იძლევა მასალას და საკმაო ყურადღებას აქცევს ლიტერატურის და ხელოვნების სფეროსაც. საფუძველში სწორად აკრიტიკებდა გაზეთი ზოგიერთ ახალგაზრდა მწერლის ნაწერებს, მათ შორის იმ ავტორებსაც, რომელნიც ჩვენი გაზეთის ფურცლებზე სასტიკად გავაკრიტიკეთ.

ქუთაისელი ამხანაგები, ისევე როგორც აჭარისტანელები, სამართლიანად ამაყობენ თავიანთი საყვარელი საქართველოს მუშათა ახალგაზრდობის თეატრით, რომელიც ქუთაისში მუშაობს. სწორად იყო შეფასებული (დადებითად) ამ თეატრის წრევანდელი პრემიერა „თორმეტი". ჩვენის აზრით, გაზეთი „ახალგაზრდა სტალინელი" ვალდებულია კათეგორიულად მიუთითოს თეატრს ორიგინალური რეპერტუარის შექმნის აუცილებლობაზე. საერთოდ თავისი თეატრის მუშაობას კომკავშირის გაზეთი სისტემატურად და ოპერაციულად უნდა დაეხმაროს.

სასურველია გაზეთმა გაშალოს მასიური ლიტმუშაობა და გააშუქოს საერთოდ მასიური კულტმუშაობის მიღწევანი და ნაკლოვანებანი. საჭიროა ბათომის ამხანაგების ინიციატივას, ბავშთა შემოქმედების ოლიმპიადის ხაზით, ქუთაისშიაც გამოეხმაურონ.

# ბარში ჩამოდით კინო-მუშაკებო

უნდა ითქვას, რომ საბჭოთა ყოფა-ცხოვრებამ ჯერ ვერ იპოვა შესაფერისი გამოხატულება ჩვენს ქართულ კინემატოგრაფიაში. რევოლუციამდე არსებული ქართული ყოფა-ცხოვრება, მეტადრე მაშინდელი სოფლის ყოფა-ცხოვრება, მშვენივრად არის წარმოდგენილი, მაგ. „სამ სიცოცხლეში", „ხანუმაში", ან „ვინ არის დამნაშავეში," მაგრამ ეს ხომ სულ ჩვენი კლასიკოსების მოთხრობების მიხედვით გაკეთებული კინო-სურათებია.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართულმა კინომ, გარდა კლასიკოსების ეკრანიზაციისა, ხელი მიჰყო მეტად მდარე ხარისხის ეგზოტიკურ „რევოლუციურ" კინო-სურათების გამოშვებას, როგორც მაგ., „შუქურას საიდუმლოება", „დაკარგული საუნჯე" და სხვა ასეთები. ცხადია, ასეთი ხაზის გაგრძელება შეუძლებელი გახდა საბჭოთა მაყურებლის გაზრდილ კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. მაყურებელი მოითხოვდა თავის ყოფა-ცხოვრების მასალაზე აგებულ კინო-სურათებს. და როგორ უპასუხა ამ მოთხოვნილებას საქ. სახკინმრეწვმა? შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე საბჭოთა ყოფა-ცხოვრება ვერ არის განსახიერებული ქართულ კინო-პროდუქციაში. რა გვაქვს აქტივში?

ქალაქის მუშათა ყოფა-ცხოვრების მასალაზე არის აგებული ორი კინო-სურათი „საბა" (ტრამვაელ მუშათა ცხოვრებიდან) და „გაყრა", სადაც ქალთა საკითხია უფრო ხაზგასმით დაყენებული. მაგრამ მაშინ, როდესაც „საბა" კონკრეტულ ყოფა-ცხოვრების მასალით სუნთქავს, „გაყრაში" ყოფა-ცხოვრება უფრო ფონია, რომელზედაც „გათამაშებულია" აბსტრაქტული სუჟეტური სიტუაციები. „ჩქარი № 2" თითქოს რკინისგზელ მუშათა ყოფას შეეხება, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ფილმის ავტორები უფრო თავგადასავლურ ბანდიტურ კოლიზიებით არიან დაინტერესებული, ამიტომ მუშათა ყოფა-ცხოვრება მეორე პლანს იკავებს. ამრიგად, მუშათა ყოფა-ცხოვრება საქ. სახკინმრეწვის სურათებში თითქმის სრულიად არ არის განსახიერებული, რაც, ცხადია, დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

მეტად დამახასიათებელი გარემოებაა, რომ სახკინმრეწვის შემოქმედებითს კადრებს და ხელმძღვანელობასაც „ქართული ეგზოტიკა" მუდამ აინტერესებდათ. ამიტომ არის, რომ სახკინმრეწვის დაარსებიდან დღემდე სახკინმრეწვი კინო-სიუჟეტების ძებნაში ყოველთვის მთაში გარბის. აქედან: მრავალი კინო-სურათი ხევსურეთის, სვანეთის, აფხაზეთისა და სხვათა ცხოვრებიდან. ცხადია, არავინ უარყოფს ამ სურათების საჭიროებას, თუ კი იგი სათანადოდ არის განსახიერებული, მაგრამ განა „მზალო და გელა" შეეფერება ახლანდელ ხევსურეთის ყოფა-ცხოვრებას? ასეთი ფილმების ავტორები უფრო ეგზოტიკას ეძებდნენ, ვიდრე კონკრეტულ რეალობას. იგივე ითქმის „ნამდვილი კავკასიელის" შესახებ, სადაც „კავკასიის ეგზოტიკა" უკიდურესობამდეა აყვანილი. ეგზოტიკა გამოსჭვივის აგრეთვე აფხაზეთის ცხოვრებიდან გაკეთებულ „უგუბზიარაში" და „ზვავთა სამეფოში".

უკეთესად არიან გაკეთებული, რადგან ნამდვილ ყოფა-ცხოვრების მასალას ემყარებიან, „ახალგაზრდობა იმარჯვებს" (აჭარისტანის ყოფა-ცხოვრებიდან), „შაქირი" (გერმანელთა კოლონიის ცხოვრებიდან) და „უკანასკნელი ჯვაროსნები" (ხევსურეთის ცხოვრებიდან).

სამწუხაროდ, სახკინმრეწვის შემოქმედებითი მუშაკები მთიდან ძნელად ჩამოდიან ბარში, ქვევით, სადაც არა ნაკლებ საყურადღებო ცვლილებებია ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში. ამ მხრივ საინტერესო ცდას წარმოადგენს „ჟუჟუნას მზითევი", რომელიც თანამედროვე საბჭოთა მეურნეობის მასალაზე არის აგებული.

საჭიროა, სახკინმრეწვმა შექმნას კარგი სურათები თანამედროვე მუშათა და კოლმეურნეთა ყოფა-ცხოვრებიდან, აგრეთვე ჩვენი ქალაქის მშრომელი ინტელიგენციისა და მოწაფეობის ყოფა-ცხოვრებიდან!.

ვ. გორდელაძე

# „კაცობრიობის ისტორია"

დ ა ს ა ს რ უ ლ ი

ინდოეთშია მოთავსებული. ინდოეთი დიდი ნახევარკუნძულია აზიის მატერიკზე. იქ ცხოვრობენ ინდოელები. მათი კულტურა პირველყოფილია. აქ შეხედეთ, ორი მათგანი მდინარეში ბანაობს, მდინარეზე კი მკვდარი მოცურავს. ეს დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, ვინაიდან თვალები დახუჭული აქვს. შეიძლება განსვენებული გოლგრით ავადმყოფობდა (აქ ყველამ შეხედა ალიოშას)... ინდოეთში ეს ხშირად ხდება .. ამისგან სწარმოებს სენის გადადება... კულტურული ადამიანები ასე როდი იქცევიან...

ცუდი ვქენი, რომ ალიოშას არ შევხედე იმ წუთში. შესაძლებელია, მაშინვე შემეწყვიტა ჩემი ლექცია. მაგრამ მე შევცქეროდი ოთახის კარებს და ველოდი, აგერ-აგერ გაიღებოდა და ჩემი მეგობარი ქალიშვილი გამოცხადდებოდა. იგიც შემოვიდა. ამან უფრო შემიჯერა გული და გახვაგრძობდი.



—ახლა შემდეგ უცქირეთ...

აუდიტორია ცნობისმოყვარეობით იგრძელებდა კისერს, თითოეულთან მიმქონდა სურათი და წინადადებას ვაძლევდი, დაეთვალიერებია, როგორც საჭირო იყო.

—აი, ამათ გაუჩალებიათ კოცონი და სწვავენ გვამებს, განა კულტურული ადამიანები გვამებს სწვავენ?! თუმცა არსებითი ეს კი არაა! უმჯობესია შეხედოთ ინდოელებს, თავიანთ დედას რომ მარხავენ. განა რომელიმე მათგანი ტირის? ცრემლიც არ ვარდება არავის... ისინი ველურებია და მათ არაფერი ესმოდებათ.

ამ დროს გაისმა ხმამაღალი, წკრიალა, უზადო სიცილი. სიტყვა გამიწყდა. იცინოდა ჩემი შავგვრემანი მეგობარი.

ცრემლი დიოდა ლოყებზე, სულშეგუბული, პაწია მუჭებით იწმენდდა თვალებს და იცინოდა სულ უფრო ხმამაღლა. და იცინოდა არა მარტო ის, ხარხარებდა ყველა ჩემი ამხანაგი. ყველა ბიჭი და ქალიშვილი მეოთხე სახწისქვილიდან და მექანიკურ სახელოსნოდან. იცინოდენ თავაწყვეტილად, ფეხების იატაკზე ბრახუნით. ღრანჭი მოექცათ სიცილით. ალექსი, ცოტა არ იყოს, კიდეც ჰყაოდა: ი... ი... ი...

მოქანცულად დავხურე წიგნი, დავდევი მაგიდაზე და ფანჯრისკენ მივდექი. წამოდგა ალექსი.

—აი,—თქვენი ინტელიგენტი, თქვა მან. ძლივს იკავებდა სიცილს, ფანქრით მაგიდაზე აკაკუნებდა,—მოდი და დაავალე ამას ლექციების წაკითხვა...

—ლექციები,—იღრიალეს ბიჭებმა და ოთახი კვლავ შეარყია ხარხარმა. მაგრამ მე არ მეცინებოდა, გამოვსხლტი გუბკომიდან და სხვენზე დავიმალე. იქ იშვიათად თუ ვინმე დადიოდა და შემეძლო რამდენიც მინდოდა მეტირა, რომ შევრცხვი და სახელი გამიტყდა.

კარგად რომ გამოვიტირე, ჩამეძინა. გამაღვიძა ვიღაცას ნაზმა ხელმა, თავზე რომ მეფერებოდა.

როგორ გაიგო, რომ აქ ვიყავი?...

—მაპატიე რომ ვიცინოდი... წაიჩურჩულა და სხვენიდან ჩამოვედით.

თენდებოდა. ხელიხელ ჩაკიდებული მოვდიოდით ქალაქში. იგი სახლამდე მივაცილე, მაგრამ მე თავად ოთახში დაბრუნება რომ ვერ გავბედე, ავედი სხვენზე და მკვდარივით დავიძინე.


# პოლიტკატორღელთა გამომცემლობა

ლენინის ქ. № 3.

გამოვიდა და იყიდება შემდეგი წიგნები:

1. პავლე საყვარელიძე—დაფანტული ფურცლები (დასურათებული).
2. ბენკინი—სისხლიან კვალზე.

გ ა მ ო დ ი ს:

1. მარკიზ დე-კიუსტინი—ნიკოლოზ პირველის რუსეთი.
2. ბ. კუპრაშვილი—ამბაკო სამანიშვილი, ბუში.
3. პოლიტიკურ სიტყვათა ლექსიკონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კრიტიკოსთა რესპუბლიკური თათბირი

13 იანვრის საღამოს 7 საათზე მწერალთა სასახლეში საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი იწვევს რესპუბლიკურ თათბირს ლიტერატურული კრიტიკის საკითხებზე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ შ ი:

1. ქართული სალიტერატურო კრიტიკის მდგომარეობა და ამოცანები— მომხსენებლები: დ. დემეტრაძე, ბ. ჟღენტი.

თათბირზე მიწვეული არიან მწერლები, კრიტიკოსები, ლიტერატურისა და ისტორიის დარგის მეცნიერ-მუშაკები, საგამომცემლო ორგანიზაციებისა და ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენლები, სახ. უნივერსიტეტის ელჩის, ქუთაისის და აჭარისტანის მწერალ-ორგანიზაციების წარმომადგენლები და სხვა. თათბირზე შესვლა მხოლოდ მოსაწვევი ბარათებით.

## ლიტერატურის სწავლება სკოლებში

განათლების სახალხო კომისარმა გასცა ბრძანება, რომელშიაც დასახულია კონკრეტული ღონისძიებები სკოლებში მხატვრული ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.

განსახკომის სასკოლო სამმართველო, მიმდინარე წლის 25 იანვრამდე, საბჭოთა მწერლების საკავშირო ყრილობის დადგენილებათა საფუძველზე გადაამუშავებს დაწყებითი და საშუალო სკოლის პროგრამებს. პროგრამებში შეტანილ ცვლილებებთან შეფარდებით, გადამუშავებულ იქნება ლიტერატურის ქრესტომატია— სახელმძღვანელოები.

სკოლებში ქართული ლიტერატურის შესწავლის საქმეში მასწავლებელთა და უფროსი კლასების მოსწავლეთათვის სავალდებულო სახელმძღვანელოდ მიჩნეულია მწერალთა საკავშირო ყრილობაზე ამხ. მალაქია ტოროშელიძის მიერ გაკეთებული მოხსენება. რომელიც სახელგამის მიერ გამოცემული იქნება, როგორც სახელმძღვანელო.

ლიტერატურის პროგრამების და ქრესტომატია-სახელმძღვანელოების გადარჩევა გადამუშავება ჩატარდება მწერალთა კავშირის უახლოესი მონაწილეობით.

სკოლის გარეშე მხატვრულ ლიტერატურის კითხვის მოწესრიგებისათვის 1 მარტამდე შედგენილ იქნება სპეციალური კატალოგი, რომელშიაც საკითხავი მასალა დალაგებულ იქნება მ.საკის მიხედვით. სახელგამს კი დავალებული აქვს 1935/36 სამოსწავლო წლისათვის გამოსცეს სასკოლო მხატვრულ-ლიტერატურული სერიები.

1935 წლის ზაფხულში მოწვეულ იქნება საშუალო სკოლებისა და ტექნიკუმების ქართულ ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა რესპუბლიკური ყრილობა.

## ქუთაისის მომღერალთა გუნდი

შვიდი წელია, რაც ქუთაისს აღარ ჰყავს მომღერალთა აკადემიური გუნდი. 1927 წელს კი ი ლ ი ა ა ბ ა შ ი ძ ი ს ხელმძღვანელობით არსებულ ქუთაისის გუნდმა რესპუბლიკაში პირველობა მიიღო. ახლა ქუთაისის მუსტექნიკუმთან, (რომელიც ერთერთი საუკეთესო ტექნიკუმია ამიერ-კავკასიაში), ი ევ შედგა მოზრდილი გუნდი მ ე ლ ი ტ ო ნ ბ ა ლ ა ნ ჩ ი ვ ა ძ ი ს ხელმძღვ ნელობით. გუნდის შექმნის ინიცი ტივა იკისრა ტექნიკუმმა, კერძოთ გამგემ ი. ნ ა კ ა შ ი ძ ე მ. მეცადინეობა უკვე დაიწყო. გუნდს ექნება ფილიალები დიდ საწარმოებში. ადგილობრივი ხელისუფლება აფინანსებს გუნდს. განზრახულია, გარდა ქუთაისისა, აგრეთვე მეზობელ რაიონების მომსახურეობა.

გუნდის ჩამოყალიბება აუცილებლად დიდი საქმეა ქუთაისისთვის და უნდა ვუსურვოთ საქმის ენერგიული წარმართვა.

ი. ბუხაიძე

## ჯაფარ ჯაბარლი



დრამატურგ ჯ. ჯაბარლის სახით მოძმე აზერბაიჯანის საბჭოთა მწერლობამ დაკარგა ერთერთი საუკეთესო თავისი წარმომადგენელი. ჯაბარლი გამოვიდა ჯერ კიდევ მუსავატურ ნახევრად ფეოდალურ აზერბაიჯანის პირობებში, როდესაც თურქთა ბურჟუაზიის—ნავთის მრეწველებისა და მემამულე ბეგების— აგენტურა მწერლობაში კონტრრევოლუციური მწერლები ხოტბას ასხამდენ ნაციონალისტურ რბევას, მუშათა კლასისა და ბოლშევიზმის სიძულვილს და იმპერიალისტური „ცივილიზაციის" „ჰუმანიზმს". თურქული თეატრის მაშინდელ რეპერტუარს მისი რელიგიურნაციონალისტური საშუალო საუკუნეების გმირებით, ისლამით და ფანატიკურნაციონალისტურ ომების აპოლოგიით ჯაბარლიმ დაუპირისპირა თავისი დრამატურგია („აიდინ" „ოქტაი ელ-ოღლუ"), სადაც კაპიტალისტურ და ფეოდალურ მუსავატს თავს ესხმოდა წვრილბურჟუაზიულ ანარქიულ-ინტელიგენტური უარყოფის პოზიციიდან. მაგრამ თავისი სოფლმხედველობის შეზღუდვილობის გამო დრამატურგი სწორად ვერ ერკვეოდა შემოქმედების იმ პერიოდშიაც, რომელიც მოსდევს აზერბაიჯანში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებას. მისი ისტორიული ტრაგედია „ცეცხლის საცოლე" რომლის თემას შეადგენს დამპყრობელ არაბების და ადგილობრივი ფეოდალების შეერთებული ბატონობა დამ ნებულ გლეხობაზე—ჯერ კიდევ გამსჭვალულია იმავე ანარქიულ-ინდივიდუალისტური იდეებით. ხალხის მეთაური ელხანი ამბობს: „ჩემი სურვილი—აი. უზენაესი კანონი. ჩემი ღმერთი, ჩემი კან ნია—თავისუფლება და ჩემი თავისუფალი ნება-სურვილიო".

რევოლუციის წლების მანძილზე, სოციალისტური მშენებლობის ზეგავლენით ხდება მწერლის იდეურ-შემოქმედებითი გადაიარაღება — წვრილბურჟუაზიულ რომანტიზმიდან იგი თანდათან გადადის სოციალისტური რეალიზმის გზაზე. პიესა „სევილ" ახალი ეტაპის დასაწყისია დრამატურგისათვის. აქ თურქი ქალის განთავისუფლება რეალისტური ხელოვნების დამაჯერებლობითაა მოცემული. ორი ქვეყანა—მუსავატელ სპეკულანტების—ანტანტის ლაქიებისა და გარეგნულად, ვითომდა, ცივილიზებულ შოვინისტების სამყარო და—მუშური, საბჭოთა აზერბაიჯანი, სადაც ბურჟუების მონობიდან თავდაღწეული სევილი, ებმება სოციალისტური ქვეყნის ბედის გამოჭედვაში—აი, „სევილის" თემა. შემდეგ ნაწარმოებში—(„ალმას") მწერალი გვიხატავს სოფლის სოციალისტურ ლიანდაგზე გადაყვანისათვის ბრძოლას და მასში საბჭოთა ინტელიგენციის ადგილს. პიესა „1905 წელი" წარმოადგენს პროლეტარული ინტერნაციონალიზმისათვის დადგმულ მხატვრულ ძეგლს. პიესა ამხელს მეფის მოხელეთა და სომეხ და თურქ ბურჟუაზიის შეერთებული ღონისძიებით მოწყობილ ნაციონალურ ხოცვა-ჟლეტის და დარბევის ნამდვილ მიზეზებს (ძველი თურქი პოლიტკატორღელ მუშის მოგონების სახით), რომ ამ ფონზე უდიდესი კონტრასტის ხერხით გვიჩვენოს კომკავშირელ-თურქი ქალის და სომეხ-მუშის მეგობრობა და სიყვარული, უკვე თავისუფალი შოვინიზმის გამთიშველ შხამისა და სიძულვილისაგან.

უკანასკნელ წლებში, გარდა პიესებისა აზერბაიჯანის მხატვრულ ინტელიგენციის ცხოვრებიდან, ჯაბარლიმ შექმნა საუკეთესო თავისი ნაწარმოები — „იაშარ"—პიესა, სადაც მოცემულია ის, რაც არ შეეძლო ენახა არც მეფის კოლონიალურ და არც მუსავატურ აზერბაიჯანს. ესაა ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობა აზერბაიჯანში, სადაც იზრდება თავისი საკუთარი საწარმოო-ტექნიკურ პროლეტარული ინტელიგენცია, რომელიც მუშათა კლასისა და მისი პარტიის მეთაურობით „ჩამორჩენილ პატრიარქალურ-ფეოდალურ ქვეყნის" (ს ტ ა ლ ი ნ ი) ნანგრევებზე აშენებს ინდუსტრიალურ აგრარულ ქვეყანას.

ჯაბარლის მუშაობა მოულოდნელად შეწყდა შემოქმედებითი ზრდის შუაგზაზე, მაგრამ მისი გავლენის ქვეშ აღზრდილი ახალგაზრდა დრამატურგთა კადრები გააგრძელებენ მის საქმეს.

## მივხედოთ ქუჩებს

ვ ი ქ ტ ო რ ჰ ი უ გ ო ს „ოთხმოცდა მეცამეტეში" აღწერილი აქვს წვრილი ხელოსნების ბავშები, რომლებიც ქუჩებში თამაშობდენ და გაჰკიოდენ „კარმანიოლას" ტაეპებს.

ნორჩი სანკულიოტების სიმღერები ისტორიულ სიმართლეს შეიცავს. ასე იყო ეს ასი წლის წინ, საფრანგეთის დიდი რევოლუციის ქარიშხლიან წლებში.

ჩვენთან, საბჭოებში ახალგაზრდა თაობას არ ესაჭიროება იძახოს „კარმანიოლას" უკვდავი სიტყვები, „არისტოკრატებს სვეტებზე დავკიდებთო". ეს საქმე თავის დროზე გააკეთა ბოლშევიზმის ძველმა გვარდიამ.

ახლა „სხვა დროა და სხვა სიმღერები". ჩვენი ნორჩი თაობა, რომელსაც არ უნახავს ნამდვილი „გოროდოვოი", ბრჭყვიალა აქსელბანტები,—ეს ნორჩი თაობა ეწაფება კულტურას, მეცნიერების უახლოეს მიღწევებს. მას აქვს თავისი ცხოვრებისა და ბრძოლის სტილი.

ამას წინად გაზეთებში გამოქვეყნდა ცნობა: საბავშო ბაღებში უკვე ისწავლიათ ახალი თამაშობა—„ჩელუსკინობია", „იზვესტიაში" კი ფოტოსურათებით ნაჩვენები იყო, როგორ ბაძავენ პიონერები „ძია ჩაპაევს" და აწყობენ მოედნებზე „შმიდტის ბანაკს".

ეს პატარა ფაქტები ტიპიურია. იგი მკვეთრად ახასიათებს სოციალიზმის მომავალი ჯარისკაცების მისწრაფებას და იდეურ მიზანდასახულებას.

მაგრამ არ ვივიწყებთ ხანდიხან ჩვენ ამ თაობის მოთხოვნილებებს?

საფრანგეთის რევოლუციის დროს, ბავშები მღეროდენ „კარმანიოლას". ეს იყო სტიქიური გამოხმაურება მამების და ძმების საქმეზე. მაგრამ ჩვენ თვითდინებას ვერ დავუცდით. ჩვენ ვალდებული ვართ არ დავტოვოთ ქუჩა საზოგადოებრივი კონტროლის გარეშე, მივაწოდოთ ბავშებს იდეური საზრდო და ამ გზით შევებრძოლოთ გატაცებას ავადმყოფური მოვლენებით, რაღაც პატალოგიურით, რაც ხშირად აშკარა ხულიგნობაში გადადის.

გაიარეთ ქუჩებზე... მარჯვნიდან თუ მარცხნიდან, ტრამვაიში თუ რიგში, ყველგან გაისმის სევდიანი მელოდია: „სადა ხარ ჩემო სულიკო". მიდიან და სტვენენ. ტრამვაიზე ჩამოეკიდებიან და სტვენენ, ეს „უკანასკნელი მასკარადის" საჩუქარია.

ამ რამდენიმე ხნის წინად მოდაში იყო რესტორანიდან ამოთრეული „პარახოდის" მოტივები. მას ისე შეეჩვიენ, რომ სახელმწიფო თეატრების სხვადასხვა მსახიობებმა აიტანეს საბჭოთა ესტრადაზე.

აქედან ის სწრაფად გავრცელდა „მასაში". ასე ხდება ყოველ სეზონში. ასევე მოქმედობთ თეატრების კინტოური ინტერმედიები.

ქუჩამ იცის რომელიმე ლექსის და სიმღერის ატაცება, შემდეგ ის ქრება, მაგრამ თავის საქმეს მაინც აკეთებს და ტოვებს შხამიანი გავლენის კვალს.

უფიქრიათ ოდესმე ჩვენს პოეტებს, კომპოზიტორებს. რომ მისცენ ახალგაზრდობას, ბავშებს—შესაფერი, მხნე, ჯანსაღი სიმღერები?




ქუჩაში ბატონობს კინტოურული მოტივები და ძველი რესტორანიდან მოტანილი კუპლეტები. ეკრანი კი ამ დროს ხშირად თვითონვე უწყობს ხელს „არღნის" იდეების პოპულარიზაციას, პოეტები კი განზე დგანან—ეს არ არის მათი, სინდისის და პროფესიის საქმე!

საჭიროა ლიტერატურული ძალების, ხელოვნების ყველა მუშაკის დაინტერესება ამ საკითხებით.

უნდა მივხედოთ ქუჩებს!

ლ ი ტ გ ა ზ ე თ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აფხაზეთი

**საბჭოების VII ყრილობისათვის** გამოდის რუსულ ენაზე თარგმნილი აფხაზეთის ნაწერების კრებული. კრებულში მოთავსებულია დ. გ უ ლ ი ა ს, კ. კოკესკერიას, გ. გულიას, შ. ტვიჟბას, ნ. მიქავას, ს. ჩანბას, ან. ჟვანიას, ლ. ლაბახუას, გ. აგუმას პაპასკიკის რჩეული ნაწერები.

**„ხაჯარატი“** ან. ალმაკინსკაიას რომანი იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა. რომანში აწერილია აფხაზეთის კომკავშირის ბრძოლა თამბაქოს ფრონტზე და ახალ ყოფა-ცხოვრებისათვის.

**„სამოქალაქო ომის ისტორიიდან“** ასეთი სათაური აქვს კრებულს, რომელსაც სცემს აფხაზეთის მწერალთა კავშირი საკავშირო მწერალთა კავშირის გამგეობის იანვრის პლენუმთან დაკავშირებით. კრებულში იბეჭდება ვ. გრიგორიევის რომანი „Обагренные годы“ და კ. კოკესკერიას მოგონებები „ველური ასეული“.

**„აფსნი ყაფშნის“** სტამბასთან არსებული ლიტერატურული წრე საბჭოების VII ყრილობისათვის სცემს სპეციალურ ლიტერატურულ-მხატვრულ ჟურნალ „აფსნი ყაფშნის“ სახელწოდებით. ხსენებული ლიტ-წრე მწერალთა ყრილობის წინ დაარსდა და ითვლება პირველ საწარმოო აფხაზურ ლიტერატურულ წრედ. წრეს ხელმძღვანელობს ახალგაზრდა დრამატურგი ძ. დარსალია.

**ან. ფადეევის მოხსენება** ჩაატარა მწერალთა კავშირმა 24 დეკემბერს ალმშენებელთა კავშირის კლუბში. მოხსენების თემას შეადგენდა „კავკასიელი ტყვე პოეზიაში და ცხოვრებაში“.

**„ვეფხის ტყაოსნის“** შემსწავლელი წრეები ჩამოყალიბდა მწერალთა კავშირთან, პედაგოგიურ ინსტიტუტთან და ტყვარჩელტრესტთან. წრეების მიზანია შეისწავლოს შოთა რუსთველის მემკვიდრეობა და მშრომელთა ფართო მასებს გააცნოს „ვეფხის ტყაოსანი“.

**ლიტწრე ხომალდზე** ა. ლ. კ. კ. საოლქო კომიტეტის მიერ სევასტოპოლში მივლენილმა მწერალთა კავშირის პ/მ. მდივანმა ამხ. მიქავამ სამხედრო ხომალდზე—„წითელი აფხაზეთი“ ჩამოაყალიბა ლიტერატურული წრე.

წრემ მიზნად დაისახა შეადგინოს ხომალდის ისტორია და შეუდგა სათანადო მასალების შეგროვებას.

კარიკატურები მ. თალაკვაძისა



# ბ ე დ ნ ი ე რ ე ბ ა

## ალექსანდრე ნევეროვი

მოწყურდა ადამიანს ბედნიერება—იყიდა გრამოფონი. ორსაწოლიან ტახტს გადააწყდა, ისიც იყიდა: სახლში ბაღლინჯოები გაჩნდა. ეს კი არ მოეწონა, უგუნებოდ გახდა, გოჭებიანი ღორი იყიდა.

— აი რა გამაბედნიერებს!

მოტყუვდა: ღორმა სამი გოჭი მოახჩო, სამი შეჭამა.

ივაგლახა, ისევ გრამოფონი გაიჩინა.

— შენ მაინც გამახარე.

გრამოფონს დაღუპული გოჭების ღრუტუნი აღმოხდა.

ლოგინად ჩავარდა. ორსაწოლიან ტახტს ბაღლინჯოები შემოესია. მთელი დღე ოხრავდა, საღამოს კი...

— წყნარად განუტევა სული...



# „მ ი ზ ა ნ ტ რ ო პ ი“

## ს. კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი

(ნაწყვეტი მოთხრობიდან)

... ანდროს მოსწონდა სპარტანული სიმკაცრით მორთული თავისი ოთახი. დეზერტირკაზე დედაბრისგან ნაყიდი წელში გაზნექილი რკინის საწოლი, ერთი სკამი და ფიჭვის მაგიდა—ეს შეადგენდა მისი ოთახის მორთულობას. ამაზე მეტს არაფერს აჩერებდა.

... ყოველთვის, როცა დაწვებოდა საწოლზე, ესმოდა ჯერ მისი ალმოკვნესა, მერე წრიპინი; შემდეგ საწოლის ყველა ნაწილი ნერვიულად ამოძრავდებოდა და იწყებდა გაუთავებელ ამბავს შეკაზმულს ხვნეშითა და ხრიალით.

უფრო ჭირვეული იყო სკამი. დაჯდებოდა თუ არა ანდრო, სკამი დაიწყებდა გრეხას და მანჭვას, როგორც პროვინციიდან ჩამოსული ქალიშვილი. ამასთანავე გაუთავებელ ლაქლაქს მორთავდა. რაღაც ჭორს ჰყვებოდა. თანაც კაპასობდა... და უეცრად, მოთმინებიდან გამოსული მაგიდა პასუხს აძლევდა. ჯერ უცბად გაბრაზდებოდა, ხრინწიანი ტენორით დასჭყივლებდა, შემდეგ ისევ მალე მშვიდდებოდა და მხოლოდ ხანდახან, ანდროს ხელით ან მუხლის თავებით გარყეული, ამოიკვნესებდა და ამოიოხრებდა...

... როცა ერთხელ მეგობარმა ურჩია ეყიდა წიგნების შკაფი, რიგიანი საწოლი, სავარძელი და სხვა საჭირო ავეჯი, გულწრფელად აღშფოთებულმა ანდრომ გაბრაზებით წამოიძახა:

— არა! მე არ მივცემ ჩემ თავს უფლებას ბურჟუაზიული გემოვნებისა და გარყვნილების ტყვე გავხდე!

# ლიტერატურული ცხოვრება

**შემოქმედებითი დისკუსია** ს. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი ს შემოქმედების შესახებ ჩატარდა მწერალთა სასახლეში. (მომხსენებელი ვ. გაფრინდაშვილი). დისკუსია სამ სხდომაზე გაგრძელდა. კამათში მონაწილეობდენ: ა. ქუთათელი, კ. გამსახურდია, გ. ცეცხლაძე, კ. ჭიჭინაძე, კ. ლორთქიფანიძე, პ. ჩხიკვაძე, ბ. ბუაჩიძე, ა. მაშაშვილი, პ. ქიქოძე, შ. შავგულიძე, ბ. ჟღენტი, ა. გელოვანი, ი. აბაშიძე, ა. არსენიშვილი და ა. ჭეიშვილი. მომავალში „ლიტგაზეთი“ წერილების სახით მოათავსებს ზოგიერთ საინტერესო გამოსვლებს.

## ტ. ფ ი რ უ მ ი ა ნ ი

გარდაიცვალა ტიგრან ფირუმიანი, ოთხმოც წლამდე მიღწეული საზოგადო მოღვაწე, რომელმაც სომხებს გააცნო ქართველი კლასიკოსების ნიმუშები.



ტ. ფირუმიანს გადათარგმნილი აქვს ნაწერები: ილია ჭავჭავაძის, ა. ყაზბეგის, გ. წერეთლის, ე. ნინოშვილისა და სხვ. უკანასკნელ დროს თარგმნიდა პროლეტარულ ბელეტრისტებს. ხელნაწერად დარჩა „ვეფხის ტყაოსნის“ პროზაული თარგმანი.

**ხალხურ პოეზიის** საუკეთესო ნიმუშებიდან ლევან მეტრეველმა შეადგინა სიუჟეტური მონტაჟი. ლევან მეტრეველის ნამუშევარი მწერალთა სასახლეში განხილულ იქნება საჯაროდ.

○ ○

**„მებრძოლნი“** იანვრის შუა რიცხვებში წითელ არმიის თეატრში წავა მორიგი პრემიერა — რ ო მ ა შ ო ვ ი ს „მებრძოლნი“. პიესას დგამს რეჟისორი დ. ა ლ ე ქ ს ი ძ ე. მხატვარი ირ. გამრეკელი.

○ ○

**ილიადა და ოდისეია** პეტრე მირიანაშვილმა ბერძნულიდან წყობილ სიტყვაობით თარგმნა ჰომიროსის „ილიადა“ და „ოდისეია“. თარგმნები მიიღო გამოსაცემად რუსთველის სახ. ინსტიტუტმა.

○ ○

**„ლიტერატურული უნივერსიტეტი“** ვოროშილოვის სახ. კლუბთან ჩამოყალიბდა გამოსასვლელი დღის ლიტერატურული უნივერსიტეტი. უნივერსიტეტის მიზანია პოპულარულ ლექციების საშუალებით მუშათა ფართო საზოგადოებრიობას გააცნოს ქართველი მწერლების ბიოგრაფია და შემოქმედება. პროგრამაში შეტანილი არიან როგორც კლასიკოსები, ისე თანამედროვე მწერლები. ლექტორებად მოწვეული არიან საუკეთესო კრიტიკოსები და მეცნიერი მუშაკები.

კლუბის დირექციას განზრახული აქვს აღნიშნულ უნივერსიტეტთან გახსნას უცხოურ და რუსული ლიტერატურის განყოფილებებიც.

პირველი ლექცია ჩატარდება 18 იანვარს.

რედაქტორი: პლატონ ქიქოძე  რედაქციის მდივანი: ნიკოლოზ ჩაჩავა

სარედაქციო კოლეგიის წევრები: იოსებ გრიშაშვილი, შალვა დადიანი, დავით დემეტრაძე, პაოლო იაშვილი, ალიო მაშაშვილი, ნიკოლო მიწიშვილი, ბესო ჟღენტი, პლატონ ქიქოძე, სიმონ ჩიქოვანი და პანტელეიმონ ჩხიკვაძე.

გამომცემელი: „ლიტგაზეთის“ გამომცემლობა

რედაქცია და გამომცემლობა: —მაჩაბლის ქ. № 13. ტელ. 3-47-10.

გ ა მ ო მ ც ე მ ლ ო ბ ა

**ტექნიკა და შრომა**

ა ც ხ ა დ ე ბ ს, რ ო მ

1935 წლისთვის მიიღება ხელისმოწერა შემდეგ პერიოდულ გამოცემებზე

ყოველდღიურ გაზეთ **„მუშაზე“** (საქ. პროფსაბჭოს ორგანო)

**ხელისმოწერის პირობები:** 12 თვით—15 მან. 3 თვით—3 მან. 75 კაპ.
6 თვით— 7 მან. 50 კაპ. 1 თვით—1 მან. 95 კაპ.
ცალკე ნომერი—5 კაპ.

სპეც. ინჟენერ-ტექნიკურ ყოველთვიურ ჟურნალზე

**„ტექნიკა და შრომაზე“**

**ხელისმოწერის პირობები:** 12 თვით დაწესებულ-თვის —12 მან.
6 თვით „ „ — 6 მან.
12 თვით ინდ. ხელისმომწერთ.—10 მან.
6 თვით „ „ — 5 მან.
ცალკე № 1 მან.

ორკვირეულ სატირიკულ-იუმორისტულ სამხატვრო ჟურნალ

**„ნ ი ა ნ გ ზ ე“**

**ხელისმოწერის პირობები:** 12 თვით—9 მან. 60 კაპ. 3 თვით—2 მან. 40 კაპ.
6 თვით—4 მან. 80 კაპ. 1 თვით . . . —80 კაპ.
ცალკე № 40 კაპ.

ხელისმოწერა მიიღება ყველა საფოსტო განყოფილებაში, „სოიუზპეჩატის“ ორგანიზატორებთან, წერილების და გაზეთის დამტარებლებთან და აგრეთვე იმ რწმუნებულებთან, რომლებიც აღჭურვილნი არიან სპეციალური მოწმობებით.

მთავლიტი № 8361.  ცეკავშირის სტამბა, პუშკინის ქუჩა № 3.  დაკვეთის № 1.